გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N6 (9186) 29 თებერვალი. 2016 წელი ფასი 50 თეთრი

## სასურველი იქნება, შევინარჩუნოთ კოალიციური რეჟიმი

5

ახლა, შეიძლება ყველაფერი ერთ დღეში შეიცვალოს





## ჩვენს გარეშე ხელისუფლება ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებს

4

3

## მივესალმებით პრემიერის განცხადებას

## ბავშვთა აღზრდის პროცესში განათლება უნდა დაბრუნდეს



6

## სოფლებში მოსახლეობის რაოდენობა იზრდება

## სამტრედიაში სახელების დროებითი კომისია ამუშავდა

7

ნაზარიშვილის კლინიკა ჩვენს მუნიციპალიტეტში უფასო გამოკვლევებს განაგრძობს

## ვალერიანე ფოცხვერია დიდ ჯიხაიშელებს "საკუთარი სახლების მონესრიგების" პროგრამას სთავაზობს

2

# ვალერიანე ფოცხვერია დიდ ჯიხაიშელებს "საკუთარი სახლების მოწესრიგების" პროგრამას სთავაზობს

**ნინო ნანიტაშვილი**

"მოსახლეობას მთავარ საზეპიროებს ვამეორებინებთ: მადლობა მთავრობას, მადლობა პარტიას"! _ ეს განცხადება ოფეთში გამგებლის წარმომადგენელმა, თემურ ჩხაიძემ ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე იმ დროს გააკეთა, როცა ვალერიანე ფოცხვერიამ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგების პროცესის მიმდინარეობა მოიკითხა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ხვნა-თესვის სამწლიანი პროგრამა 1 წლით გაიზარდა და 2016 წელში გლეხობას მიწას კვლავ უფასოდ დაუხნავენ.

21 თებერვლის ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე მუნიციპალიტეტის გამგებელმა ქალაქის, დაბისა და ცალკეული სოფლების მიხედვით დაწვრილებითი ინფორმაცია მიიღო სასოფლო-სამეურნეო ბარათების ადრესატებამდე მიტანის შესახებ. გაირკვა, რომ ამ კუთხით პრობლემები არც ერთ ტერიტორიულ ერთეულში არ დაფიქსირებულა.

შეხვედრა, რომელიც 21 თებერვალს არატრადიციულ ფორმატში მიმდინარეობდა, დროზე ადრე დაატოვებინეს ააიპ-ებისა და შპს-ების წარმომადგენლებს, რომლებიც წინასწარ იყვნენ დაძახებულნი. მათთან აუდიენცია ვალერიანე ფოცხვერიამ რამდენიმე დღით გადადო და იქვე ააიპ-ების ხელმძღვანელებს შეახსენა, რომ ისინი დამოუკიდებელი დაწესებულებები არ არიან და დარგის ხელმძღვანელებთან უფრო ხშირი და მჭიდრო ურთიერთობები უნდა ჰქონდეთ, რაც უმეტეს შემთხვევაში ასე არ არის. უფრო მეტიც, ვალერიანე ფოცხვერია აღიარებს, რომ წინა ხელისუფლების მიერ აღებული ცუდი ტენდენცია მათაც გააგრძელეს":

"ძალიან ცუდი და მიუღებელია, რომ ერთგვაროვან ააიპ-ების ხელმძღვანელებს განსხვავებული ხელფასები ერიცხებათ, რასაც მხოლოდ ერთი ახსნა აქვს, წინა ხელისუფლება მათ ახლობლობის პრინციპით განასხვავებდა. ეს ჩვენ უნდა გამოგვესწორებინა და თუ ვერ მოვახერხეთ, ჩვენს არაეფექტურ მუშაობაზე მიუთითებს. ამის გამოსწორება წელს არ ხერხდება, გპირდებით, 2017 წლის ბიუჯეტში აუცილებლად იქნება თანაფარდობა დაცული. ასევე, შევეცდებით, ერთგვაროვანი ააიპ-ების შერწყმა მოხდეს".

ვალერიანე ფოცხვერიამ ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე ინფრასტრუქტურის სამინისტროდან წარმომადგენლის, კობა ქიმაძის სამტრედიაში საქმიანი ვიზიტი დააანონსა: "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელ სამუშაოებზე შეხვედრები შარშან, წლის ბოლოს ჩავატარეთ. ცოტაოდენი კორექტირება კვლავ მოსალოდნელია. თავშივე გაგაფრთხილეთ, რომ ჩვენთვის პრიორიტეტებად კვლავ რჩება ბაგა-ბაღები, ხოლო გაღმა ზონისთვის სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგება, ვიდრე გარე განათება. გომის თემში რამდენიმე უბანია, სადაც წყალი არა მარტო ზაფხულში, ზამთარშიც კი ჭირს".

ზურაბ გოგიამ მაღალმთიან სოფლებში ბეტონის გზის ეფექტურობაზე ვრცლად ისაუბრა. დიალოგში გამგებლის წარმომადგენლებიც ჩაერთვნენ და კონკრეტული მაგალითები გაიხსენეს, თუ როგორი უკეთესი და გრძელვადიანი ინფრასტრუქტურა მიიღეს მაღალმთიან სოფლებში ასფალტის ნაცვლად ბეტონის გზის დაგებით.

საავტომობილო გზების მოწესრიგებაზე საუბარმა დიდ ჯიხაიშში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს მის სოფელში სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნილი გზები გაახსენა. ნუგზარ ნუცუბიძის თქმით, წვიმის დროს ცალკეული უბნები გაუვალი ხდება. დიდი ჯიხაიშის თავკაცს ეფექტურად არც ხშირად ნაცადი პრაქტიკა მიაჩნია, უფრო მეტიც, ნუგზარ ნუცუბიძის აზრით, გზების მოხრეშვაზე გაწეული ხარჯი წყალში ჩაყრილი ფულია. ამდენად, მას უკვე მერამდენე თხოვნა აქვს გამგებელთან, დიდ ჯიხაიშელებს ეზოების მიმდებარე არხების გასაწმენდად ქალაქიდან ტექნიკა მიაშველონ. თათბირზე კოლეგებმა და მედია საშუალებების წარმომადგენლებმა ერთდროულად იგრძნეს, ამ წინადადების შემდეგ ნუგზარ ნუცუბიძე რა უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდა. ვალერიანე ფოცხვერია არ მორიდებია, დიდ ჯიხაიშში მისი წარმომადგენლისთვის მენეჯერობის უნარი დაეწუნებინა: "იქ, სადაც კარგი მენეჯერი გვყავს, ეს პრობლემა არ უნდა იყოს. სოფელში ბევრი ახალგაზრდა გყავთ და მათი შესაძლებლობები გამოიყენეთ. შეკრიბეთ ისინი, ჩაუდექით სათავეში, მათ გვერდით იმუშავეთ და გაწმინდეთ თხრილები. ერთ დღეს ბარით ხელში მეც მოგეშველებით. შეიმუშავეთ "საკუთარი სახლების მოწესრიგების" პროგრამა, გადით "ბირჟაზე", სადაც ახალგაზრდები არაყს სვამენ, მოჰკიდეთ ხელი და ჩართეთ პროგრამაში, შრომას მიაჩვიეთ. შენ კი მოდიხარ და თხრილების გაწმენდას ჩვენ გვთხოვ. გიმეორებ, შენ თუ არ შეგიძლია დამოუკიდებლად პრობლემის გადაჭრა, ე. ი. სოფელში არ ყოფილხარ ავტორიტეტი. მაშინ ავდგებით და "ბირჟაზე" რომ გყავთ, იმას დავნიშნავთ თავკაცად. რადგან ხარ ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი, როცა პრობლემას წამოჭრი, იქვე მისივე გადაჭრის ხედვაც უნდა წარმოადგინო. სხვა შემთხვევაში შენს პრეტენზიებს აღარ მოვისმენთ".







ვალერიანე ფოცხვერიამ ტრადიციული თათბირის ბოლოს ლევან ახობაძისგან მედიკამენტების შეძენის პროგრამაზე ინფორმაციების მოსმენა მოითხოვა. ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის თქმით, მედიკამენტების პროგრამამ ცუდად იმუშავა: "ცუდად იმუშავა იმის გამო, რომ მიმღები შეზღუდული არ იყო სარეიტინგო ქულის მიხედვით. შედეგად კი ის მივიღეთ, რომ ერთ თვეში 1 კვარტალის გასაცემი თანხა ამოიწურა. ვერ ვიტყვი იმას, რომ გამგეობამ წამლის შესაძენი ფული იმ ადამიანებს გადაუხადა, ვისაც არ ეკუთვნოდა. თუმცა, ასეთ სიტუაციაში შეუძლებელია ყველა მსურველის დაკმაყოფილება. ჩემი წინადადებაა, რომ პროგრამა, რომელიც დროებით შევაჩერეთ, გავაგრძელოთ მარტის ბოლოდან მხოლოდ სოციალურად დაუცველებზე".

# სოფლებში მოსახლეობის რაოდენობა იზრდება

**ნინო ნანიტაშვილი**

კობა ქიმაძე, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თანამშრომელი, 24 თებერვალს სამტრედიის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის პირველ პირებს შეხვდა. ვალერიანე ფოცხვერია, მამუკა თავაძე, ზურაბ გოგია ამ ვიზიტის შესახებ წინასწარ იყვნენ ინფორმირებულნი და გაფრთხილებული ჰყავდათ ტერიტორიული ორგანოს 14-ვე წარმომადგენელი, ქალაქის გარდა.

სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით, შეხვედრის მიზანი იყო ინფორმაციის გავრცელება, თუ როგორ ჩაეტარებინათ სოფლის თავკაცებს ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრები. სადაც სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პრიორიტეტები უნდა აერჩიათ.

კობა ქიმაძე, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელი: " სამტრედიაში ჩემი ტრადიციული ვიზიტი მიზნად ისახავს, პირველ რიგში, განმარტება მოგცეთ, თუ როგორ უნდა ჩაატაროთ ადგილებზე შეხვედრები თქვენი სოფლის მოსახლეობასთან. პირველ შეხვედრას შეიძლება მიეცეს კრების სახე, თუ კი მას მოსახლეობის არანაკლებ 20 პროცენტი დაესწრება. მეორე _ შეხვედრის ოქმი დაერქმევა, თუ შედარებით ნაკლები რაოდენობა დაფიქსირდება. ამასთანავე, შესაძლებელია, გამგებელი შევიდეს საკრებულოში წინადადებით, თუ რომელ სოფელში რა ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება. მიაქციეთ ყურადღება, ეს თანხები უნდა იყოს მიმართული იმ ინფრასტრუქტურული ობიექტების დასაფინანსებლად, რომლებიც მუნიციპალიტეტის ბალანსზეა".

ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლის მხრიდან შეხვედრაზე ითქვა, რომ მთავრობის განკარგულებით სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 729 200 ლარია გამოყოფილი, მაშინ როდესაც 2015 წელს 706 000 ლარი იყო. სტატისტიკური მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ხარჯზე მოხდა დასაფინანსებელი თანხის მატებაც.

24 თებერვლის შეხვედრაზე მითითება მიეცათ სოფლის წარმომადგენლებს, შეხვედრის ჩატარების გრაფიკი დღეებისა და საათების ჩვენებით დროულად წარმოადგინონ.





## მადლობა

მინდა, "სამტრედიის მაცნეს" საშუალებით მადლობა გადავუხადო სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას და გამგეობის სოციალური სფეროს სამსახურს აუცილებელი მედიკამენტებით ჩემი უზრუნველყოფისათვის.

ლიდია არველაძე

# სოფლებში გაზიფიცირების სამუშაოების მიმდინარეობით გამგებელი კმაყოფილია

**ნათია ნაცვლიშვილი**

რამდენიმე დღეა, რაც საჯავახოს მკვიდრის, გურამ შანიძის ოჯახში ბუნებრივი აირი შევიდა, გაზქურის ანთების პროცესს მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია სხვადასხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად დაესწრო. გაღმა ზონის სოფლებში აქტიურად მიმდინარეობს გაზიფიცირების პროცესი. საჯავახოში, დაბლა გომსა და დაფნარში მიმდინარე სამუშაოები ვალერიანე ფოცხვერიამ მის მოადგილე დავით ბახტაძესთან, "სოკარ ჯორჯია გაზის" სამტრედიის სერვისცენტრის მენეჯერ ბერდია კანკაძესთან და საჯავახოსა და გომის თემში გამგებლის წარმომადგენლებთან, შავლეგ თარგამაძესა და ზაზა ნიკოლეიშვილთან ერთად მოინახულა.

ინტენსიურად მიმდინარეობს სამუშაოები, პროცესი დეკემბრის შუა რიცხვებში დაიწყო. გაღმა ზონაში 31 სოფელი შედის. 31-ივე სოფელში 3700 კომლია, ყველა მათგანის აბონირება იგეგმება. ორი თვის განმავლობაში უკვე 300 ოჯახია გაზიფიცირებული. სავარაუდოდ, წლის ბოლოს, თუ ცუდმა ამინდებმა სამუშაოები არ შეაფერხა, პროცესი დასრულდება და 3700-ივე კომლი მიიღებს ბუნებრივ აირს.

კმაყოფილებას ვერ მალავს "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში საჯავახოელი ოთარ დიდია: "აგვისრულდა მრავალი წლის სურვილი, გვქონოდა ოჯახში ბუნებრივი აირი. უკვე ბედნიერი ვართ, ხალხი ამოვისუნთქავთ. კარგია ის, რომ გაზის კომპანია გვეხმარება და თვეების მანძილზე დავფარავთ დავალიანებას. თვეში 25 ლარის გადახდა უმტკივნეულოდ მოხდება, ამ დავალიანებას, 400 ლარს, ეტაპობრივად დავფარავთ.

"ჩვენს თემში გაზიფიცირების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს, საჯავახოს მოსახლეობის ნახევარი უკვე სარგებლობს ბუნებრივი აირით. ისინი ძალიან კმაყოფილნი არიან. ამ თვეში ვგეგმავთ, რკინიგზის გადმოღმა მხარის, ორპირის უბნის გაზიფიცირება დავასრულოთ". _ გვეუბნება გამგებლის წარმომადგენელი საჯავახოს თემში, შავლეგ თარგამაძე. მისივე თქმით, უკვე გაზიფიცირებულია საკირეს უბანი, დარჩენილია რეჭის უბანი, სადაც 49 ოჯახში უნდა შევიდეს ბუნებრივი აირი. რაც შეეხება მაღალმთიან სოფლებს, ნიგორზღვასა და ჭოგნარს, შავლეგ თარგამაძე ვარაუდობს, მიმდინარე წლის ზაფხულზე ამ სოფლებშიც მიიღებს მოსახლეობა ბუნებრივ აირს. ეს კი უდავოდ დიდი შვება იქნება ამ სოფლების მკვიდრთათვის. მიმდინარე სამუშაოებით კმაყოფილია მუნიციპალიტეტის გამგებელი. როგორც ვალერიანე ფოცხვერიამ განაცხადა, გასულ წელს მთლიანად დასრულდა გაზის ცენტრალური მაგისტრალის გაყვანა გაღმა ზონის სოფლებში. უკვე მიმდინარეობს მოსახლეობის გაზიფიცირება. კომპანია "სოკარის" წარმომადგენლები ძალიან კარგად მუშაობენ. 100 ოჯახის გაზიფიცირება უნდა მოხდეს სოფელ საჯავახოში, ხოლო 107 ოჯახი დაბლა გომში ამ თვის ბოლოს ჩაერთვება ქსელში. გვპირდებიან, სამუშაოები დროულად დასრულდება. მოგეხსენებათ, ამ პროცესს აქტიურად ვადევნებთ თვალ-ყურს, პროცესი კონტროლზე აქვს აყვანილი ვიცე-პრემიერ კახი კალაძეს, გვეხმიანება და ინტერესდება, თუ რა მდგომარეობაა, მოსახლეობასთან მუდმივი კონტაქტი გვაქვს, თუკი რაიმე ხარვეზია, გაზის კომპანიასთან ერთად ვწყვეტთ ამ პრობლემას". _ დასძენს ვალერიანე ფოცხვერია.

გამგებლის წარმომადგენელი გომის თემში, ზაზა ნიკოლეიშვილი: "სოფელ დაფნარში 210 აბონენტია სიით რეგისტრირებული. რეალურად ცხოვრობს 180, აქედან 100 უკვე გაზიფიცირებულია. ხოლო სოფელ დაბლა გომში სიით 365 აბონენტია რეგისტრირებული, ადგილზე ცხოვრობს _ 340. მათგან უკვე გაზიფიცირებულია 100 აბონენტი. ძალიან სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მუშაობის პროცესი, თუკი უამინდობა ხელს არ შეგვიშლის, ვადებში ჩავეტევით. სოფლებში, დაბლა გომსა და დაფნარში გაზიფიცირების სამუშაოები დეკემბრის ბოლოს დაიწყო".

სიახლეა ის, რომ უკვე სოფელ მთის ძირშიც დაიწყო გაზიფიცირების პროცესი. მოსახლეობას ხვდებიან კომპანია "სოკარის" წარმომადგენლები და მიმდინარეობს ნახაზების შედგენა.

დაბლა გომში ჩხაიძეების უბანში მცხოვრებმა ქალბატონმა ქეთევან ჩხაიძემ პირადად გადაუხადა მადლობა ხელისუფლების წარმომადგენლებს და განუცხადა, რომ მის სიხარულს საზღვარი არა აქვს, რადგან ბუნებრივი აირი მის ოჯახშიც შევიდა.





## მივესალმებით პრემიერის განცხადებას

სასიამოვნო ინფორმაცია გაჟღერდა ამ დღეებში ეთერში, ქვეყანა აპირებს სერიოზული ნაბიჯები გადადგას მეაბრეშუმეობის ასაღორძინებლად, განსავითარებლად.

სიახლეს არავისთვის წარმოადგენს ის გარემოება, რომ საქართველოში უძველეს დროში აწარმოებდნენ მაღალხარისხიან აბრეშუმს, რომელიც საზღვარგარეთაც კი გაჰქონდათ და მოსახლეობისთვის შემოსავლის მსუყე წყაროს წარმოადგენდა.

როგორც მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთელ რიგ დარგებში, მეაბრეშუმეობაშიც ყოველთვის მოწინავე პოზიციებზე იყო სამტრედია. გასულ საუკუნესთან ერთად დასრულდა საქართველში "თეთრი ოქროს" წარმოება.

როგორც ცნობილია, აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად ერთადერთი მცენარე თუთაა ოდითგანვე მიჩნეული, ამდენად, ამ მცენარეთა გაშენებას არც თუ შორეულ წარსულში, სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, მისი თვითნებური ჭრა კი კანონით დასჯადი იყო. საჯარო სკოლებს, პროფესიულ სასწავლებლებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს საკუთარი წვლილი შეჰქონდათ აბრეშუმის პარკის წარმოების საშვილიშვილო საქმეში. შემთხვევითი როდი იყო ის გარემოება, რომ სამტრედიაში სწორედ აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკა იყო ერთ-ერთი პირველი საწარმო, რომელიც ძმებ ილინების მიერ იყო დაპროექტებული, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სამტრედიასთან ერთად, ხონის რაიონშიც მოქმედებდა უძველესი ანალოგიური ფაბრიკა, ადვილი წარმოსადგენი იქნება, როგორ იყო მეაბრეშუმეობა განვითარებული დასავლეთ საქართველოში.

ვიმედოვნებთ განცხადება _ საქართველოში მეაბრეშუმეობის უძველესი დარგის აღორძინებას რომ ეხება, არ დარჩება "ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა", ალბათ, არც უცხოელ ტრენერ-ფასილიკატორთა მოწვევა და ათასების ხარჯვაა საჭირო საიმისოდ, რომ ქართველ კაცს აბრეშუმის მოვლა ვასწავლოთ.

უძველესი დარგის აღორძინების აუცილებლობასთან დაკავშირებით პრემიერ კვირიკაშვილის განცხადებამ ბევრი გაახარა და აღავსო იმედით.

სურათი, რომელიც ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტ რომან ბექაიას მიერ გასული საუკუნის მიწურულსაა გადაღებული, სამტრედიელი მოსწავლეები არიან აღბეჭდილნი აბრეშუმის პარკის გამორჩევისას.

**ლევან გაბეჩავა**



# 9 მარტის ტრაგედიის ექო

ბევრჯერ ბევრი დაწერილა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ აშკარა თუ მალულ აგრესიაზე.

1921 წლის თებერვალი.
1924 წლის აგვისტო.
1956 წლის 9 მარტი.
1989 წლის 9 აპრილი.
სამაჩაბლო.
აფხაზეთი.
2008 წლის აგვისტო.
მცოცავი ანექსია...



ერთი ხელწერა, ერთი შედეგი: უმანკო დაღვრილი სისხლი, აჩეხილი ერის საჯიშე ასულები და ვაჟკაცები, შაოსანი დედები, ფეხქვეშ გათელილი სუვერენიტეტი, ადამიანის უფლებები...

60 წელი გავიდა 1956 წლის 9 მარტის სისხლიანი ტრაგედიიდან.

ქართველთმოძულე ნიკიტა ხრუშჩოვმა საკავშირო ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან ურცხვად აძაგა იოსებ სტალინი, მისი მრავალწლიანი მოღვაწეობა, რაც პირდაპირ და არაპირდაპირ ქართველი ერის შეურაცხყოფაც იყო.

ნიკიტა ხრუშჩოვი პიროვნების კულტის დამკვიდრებაში სდებდა ბრალს სტალინს. ამის გამო თბილისში, მტკვრის სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან ქართველმა ახალგაზრდებმა, სტუდენტებმა საპროტესტო აქცია გამართეს, რომელიც საბჭოთა შეიარაღებული ძალების ნაწილებმა დაარბიეს.

ათობით ახალგაზრდის სიცოცხლე ემსხვერპლა 1956 წლის 9 მარტის მოვლენებს.

მთავრობამ ჭირისუფალთ ნება არ მისცა დაღუპულნი წესისამებრ სათანადო პატივით დაეკრძალათ. მალულად დაიტირეს მშობლებმა "მოღალატე შვილები".

დიდხანს, დიდხანს ედო ტაბუ ამ თემას, თუმცა, როცა ღირებულებები გადაფასდა, აზროვნება ფორმაციასთან ერთად შეიცვალა, სხვა ჭრილში აღიქმება 9 მარტს დაღუპულთა გულისთქმა, მათი პათოსი.

სამშობლო არ ივიწყებს ერის ღირსების დაცვისთვის დაღუპულთა სახელებს.

60 წელი გავიდა 1956 წლის 9 მარტის სისხლიანი მოვლენებიდან.

**ლევან გაბეჩავა**

# ეს სიახლეა

შეზღუდული შესაძლებლობების პირთა საზოგადოებაში ჩართულობას, როგორც არასოდეს, ისეთი ყურადღება ექცევა ამჟამად.

სმენადაქვეითებულთათვის, უსინათლოებისა და სხვა თანდაყოლილი თუ შეძენილი ტრავმის მატარებელ ადამიანთა საზოგადოებაში რესოციალიზაციაზე სახელმწიფო ზრუნავს.

შეზღუდული შესაძლებლობები რომ არ არსებობს, არაერთხელ დაამტკიცეს ადამიანებმა.

და მაინც, ამ კატეგორიის ხალხს მეტი სითბო, თანადგომა სჭირდებათ თითოეული ჩვენგანის, საზოგადოებისგან.

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკამ ამას წინათ ელექტრონული (ხმოვანი) წიგნები მიიღო, რომლითაც არა მარტო უსინათლოებს, ყველას შეეძლება სარგებლობა.

_ მართალია, ჯერ-ჯერობით არავის მოუმართავს თხოვნით ესარგებლათ ხმოვანი წიგნებით-კომპაქტ დისკებით, რომლებიც მოიცავს საყმაწვილო და საბავშვო ლიტერატურას, ქართველი და უცხოელი მწერლების ნაწარმოებებს, თუმცა, ალბათ, მსურველები აუცილებლად იქნებიან. _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" ბიბლიოთეკის საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილების მეთოდისტმა იზაბელა ლეგაშვილმა.

სიახლე უდავოდ მისასალმებელია, რამეთუ შშმ პირთა თანადგომის საუკეთესო გამოხატულებაა.

**ლევან გაბეჩავა**

# ჩვენს გარეშე ხელისუფლება ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებს

ქეთევან ჭელიძე

***გოგი თოფაძემ ნაცარი გაქექა, თუ ცეცხლს ნავთი გადაასხა, სულერთია, ნებისმიერი მეტაფორა გამოდგება იმის წარმოსადგენად, მისმა განცხადებამ როგორი პრობლემები შეუქმნა კოალიციის ერთიანობას.***

***რამდენიმედღიან დაპირისპირებას პოლიტსაბჭოს სხდომამდე მორატორიუმი მოჰყვა. თუმცა, ესეც დაირღვა და საქმით უკვე არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვადასხვა პოლიტიკური ძალები დაინტერესდნენ. გაყალბდა თუ არა საგარეჯოში არჩევნები, ამას სასამართლო გადაწყვეტს. "რესპუბლიკელებსა" და მათ მომხრეებს "იოტისოდენა" ეჭვიც არ ეპარებათ თინა ხიდაშელის სიმართლეში. თუმცა, გულზე მჯიღს ირმა ინაშვილიც იცემს. ისღა დაგვრჩენია, მოვლენების განვითარებას დაველოდოთ.***

***"რესპუბლიკურმა პარტიამ" ქართველთა უმრავლესობის გული ვერა და ვერ მოიგო. მიუხედავად იმისა, ორიენტირს ევროპაზე ვაკეთებთ, ცალსახად პროდასავლური "რესპუბლიკელების" მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება არ იცვლება. ის, რომ კოალიციაში პირველობენ, სადავო არა. თუმცა, სხვებს ამის არ სჯერათ და გია ხუხაშვილმაც შესაძლებლობა არ გაუშვა ხელიდან: "რესპუბლიკურ პარტიაზე" არ დგას ქვეყნის არჩევანი, ეს სახელმწიფოს არჩევანია".***

***კოალიციაში წყალი საკმაოდ აიმღვრა. "ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის", ალბათ, უფრო მეტად მორგებული და შესაშური გადაწყვეტილება იქნება მასში შემავალი პარტიების იმიჯისა და მდგომარეობის შესანარჩუნებლად.***

***"რესპუბლიკური პარტიის" ეროვნული კომიტეტის წევრისა და სამტრედიაში ამავე პარტიის თავმჯდომარის, იმედა გოგავას აზრით, კოალიციის მთლიანობას ამ ეტაპზე არაფერი ემუქრება. სწამს, რომ პარტია, რომელიც მან აირჩია, წლებით ნაცადი და ავტორიტეტულია, ინტელექტუალური და ეროპაში ყველა "მძიმე კარს" რომ აღებს, ისეთი.***

***უფრო დაწვრილებით იმის შესახებ, რაც ზემოთ ვთქვით, ინტერვიუში წაიკითხავთ.***



**_ ბოლო დღეებში ძალიან გააქტიურდა კოალიციის თემა. შიდა დაპირისპირება უკვე საჯარო მსჯელობის საგნად იქცა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ კოალიციის დაშლის მომენტი დადგა?**

_ არა მგონია. ერთ წელზე მეტია, "რესპუბლიკურმა პარტიამ" გამოაქვეყნა წერილი კოალიციისადმი. ერთ-ერთი მთავარი მუხლის თანახმად კოალიციას უნდა გაეკეთებინა არჩევანი. კონკრეტულად, მას უნდა განემარტა ტექნიკურია კოალიცია თუ ევროპული.

ტექნიკურია კოალიცია, რომელიც შექმნილია სხვადასხვა ორიენტაციის, სხვადასხვა მსოფლმხედველობის მქონე პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ. მათ საერთო არაფერი აქვთ, გარდა არჩევნებში ერთად გამოსვლისა.

ევროპულია კოალიცია, რომელიც ფუძნდება საერთო ღირებულებებზე, მსოფლმხედველობებზე და მასში შემავალ პარტიებს საერთო უფრო მეტი აქვთ, ვიდრე განსხვავებები. ასეთ კოალიციაში გათვლილია ყოველი ნაბიჯი, სამოქმედო გეგმა, გათვლილია, რომელ პარტიას რა კვოტა, ადგილი და რა წონა აქვს. შესაბამისად, პარტიებს განსაზღვრული უნდა ჰქონდეთ, სად იქნება მათი ადგილი მოახლოებულ არჩევნებში, რა უნდა აკეთონ, რაზე იმუშაონ.

**_ როგორც ჩანს, მიუხედავად უარყოფისა, კოალიციაში დაპირისპირება იმთავითვე არსებობდა და წერილის გამოქვეყნების მიზეზიც ალბათ, სწორედ ეს იყო.**

_ ზოგადად, ეს "რესპუბლიკელების" გამოგონილი არ არის. თანამედროვე მსოფლიოში, ყველგან, სადაც კოალიციები არსებობენ, იქმნებიან რაღაც მიზნებით და ღირებულებებით. თუ მასში შემავალი რომელიმე ორგანიზაცია არ ეთანხმება ამ ღირებულებებს, ის კოალიციიდან გადის ან უშვებენ. ჩვენს შემთხვევაშიც წევრებმა ხელი მოაწერეს იმას, რომ კოალიცია არის ევროპული ღირებულებების მომხრე. შეთანხმდნენ ადამიანის უფლებებსა და სხვა საკითხებზე. რამდენადაც არ უნდა გაგიკვირდეთ, აღნიშნულ დოკუმენტს ხელი "მრეწველებმაც" მოაწერეს. ისინი ყველაზე ბოლოს შევიდნენ კოალიციაში. "თავისუფალი დემოკრატების" გასვლის შემდეგ დარჩენილი 5 პარტია მთავარ მოთხოვნებს არ ემიჯნება. მიუხედავად ამისა, კოალიციაში არავინ იცის, თავისი ადგილი. არავის აქვს იმის განცდა, რომ "რესპუბლიკური პარტიის" წარმომადგენელია, რა გვეკუთვნის ვერტიკალში, თვითმმართველობებში... ეს კოალიციამ უნდა დაარეგულიროს. ასევე, ყველა სხვა საკითხზე უნდა მიმდინარეობდეს მსჯელობა.

74 ქალაქის მერიდან ყველა "ქართული ოცნების" წევრია. თუ კოალიციურია, 74-დან 60 შეიძლება იყოს "ქართული ოცნება", 2 "რესპუბლიკელი", 6 "კონსერვატორი" და ა. შ. ასეთი რაღაცეები რომ არ ხდებოდა, წერილის გამოქვეყნების აუცილებლობა ამიტომ დადგა. გამოქვეყნებამდე იგი გაეგზავნა "ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოს. ვფიქრობდით, რომ იგი ამას განიხილავდა და რაღაც შედეგებამდე მივიდოდით. წელზე მეტი გავიდა და რეაგირება არ მოჰყოლია. ამან გამოიწვია ის, რომ შიგა და შიგ ზოგიერთი კოალიციური პარტიის წარმომადგენელი თუ თავმჯდომარე აკეთებდა ისეთ განცხადებებს, რაც ეწინააღმდეგებოდა კოალიციის შექმნის მთავარ პოსტულატს, ევროპულ არჩევანს. ისინი ამბობდნენ, რომ არ გვინდა ევროპა და ნატო, რომ მათთან ყოფნას მოაქვს ერთნაირსქესიანთა ქორწინება, ნატო არის აგრესორი და სხვა.

**_ დიახ, ერთნაირსქესიანთა ქორწინებაზე, თუნდაც, სატელევიზიო ეთერიდან თითქმის ყოველდღე საუბრობენ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამგვარი ქორწინებების დაკანონებას სახელმწიფო მალე დააყენებს დღის წესრიგში. ისმის ბრალდებაც, რომ პარლამენტში ამასთან დაკავშირებით ყველა პარტიას აქვს უარყოფითი დამოკიდებულება, გარდა "რესპუბლიკელებისა" და "ნაცმოძრაობისა".**

_ ეგ არის თითიდან გამოწოვილი ბრალდება. არც კანონპროექტი არსებობს და მით უფრო, არც საპარლამენტო სხდომაზე შემოუტანია იგი ვინმეს განსახილველად. ამას არც არავინ აპირებს. მე გეტყვით, რაც ხდება. ახლა წინასაარჩევნო პერიოდია, ამგვარი სისულელეებით, პოლიტიკური ბრალდებებით სურთ, ევროპული არჩევანიდან ადამიანები რუსეთისკენ შემოაბრუნონ. თითქოს, ევროპაში თუ შევალთ, ჩვენთან ერთნაირსქესიანთა ქორწინებები დაკანონდება, თითქოს გვართმევენ ქართველობას, გვაფიდარასტებენ და კიდევ რა ვიცი, რა! ამისგან კი, რა თქმა უნდა, დაგვიცავს და გადაგვარჩენს ჩვენი უფროსი ძმა, ერთმორწმუნე და მართლმადიდებლური რუსეთი.

**_ სხვათა შორის, როგორც სანდრო ბრეგაძეც აცხადებს, მის მიერ თანამდებობის დატოვების მთავარი მიზეზიც არასამთავრობო ორგანიზაციის წევრისთვის ერთნაირსქესიანთა ქორწინებებზე საუბრის დროს მიცემული შენიშვნა გახდა. რომ სწორედ ამის შემდეგ დაიწყო თინა ხიდაშელის მიერ მასზე ზეწოლა.**

_ სანდრო ბრეგაძე არის ერთი პოპულისტი ადამიანი. არ ვაპირებ მასზე ჩემი დროის დაკარგვას, რადგან მას კარგად იცნობს ქართული საზოგადოება. ასლან აბაშიძის ერთგული თანამებრძოლი იყო და ყოველთვის მხარს უჭერდა ერთი პატარა კუთხის სეპარატიზაციას. ახლა მან გვმოძღვროს ქართულ ინტერესებზე, ჩემთვის ეს უფრო გასაკვირია, ვიდრე ის აბსურდული განცხადებები, რასაც სანდრო ბრეგაძე ასე უხვად ახმოვანებს.

**_ მოდით, პირობითად ამასაც "ზეწოლა" დავარქვათ და თქვენ რით ახსნით ასეთ ზეწოლას "რესპუბლიკურ" პარტიაზე?**

_ "რესპუბლიკური პარტია" ყოველთვის ყელში ჰყავდა გაჩხერილი ნებისმიერ ხელისუფლებას. ეს პარტია, ბოლო ათი წელია, იქცა სტრუქტურიზებულ ორგანიზაციად, რომელიც არ არის გაერთიანებული ერთი რომელიმე ლიდერის ირგვლივ. გაერთიანებულია მრავალი ლიდერის ირგვლივ და იმართება ქვემოდან ზემოთ და არა პირიქით. ეს ნიშნავს, რომ პარტიაში ყველა დონეზე ტარდება არჩევნები. ადგილობრივი იქნებიან ლიდერები, თუ ეროვნული მასშტაბის, ყველა ირჩევა. აქ დანიშვნა არ ხდება. აქ მოსული ადამიანები თავიანთი მუშაობისა და სასარგებლო მარგი ქმედების კოეფიციენტის შემთხვევაში შესაძლებელია, წინ წავიდნენ. "რესპუბლიკური პარტია" არა მარტო გაიზარდა და გამსხვილდა, ის ყველა რაიონში გახდა ანგარიშგასაწევი ძალა. არაფერს ვამბობ ცენტრზე, სადაც თავი მოიყარა ქართული პოლიტიკის ნაღებმა. ამას გარდა, მნიშვნელოვანია, რომ ამ პარტიის ლიდერებს ძალიან კარგად იცნობენ დასავლეთში და სჯერათ მათი. ყველაზე მძიმე და დახურული კარები მარტივად იღება ამ პარტიის წარმომადგენლებისთვის. ეს კი ძალიან დიდი ავანსია სრულიად საქართველოსთვის.

**_ მიუხედავად საერთაშორისო აღიარებისა, "რესპუბლიკელების" მიმართ საქართველოში ნაკლებად კეთილგანწყობილნი არიან. საზოგადოების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ თქვენ შორს დგახართ ეროვნული ღირებულებებისაგან. თქვენი პარტია რომ ხელისშემშლელი ყოფილა კოალიციისათვის, ამ აზრს თვითონ კოალიციის წევრები ავითარებენ.**

_ პარტია 37 წლის არის. ამ ხნის მანძილზე იგი პირველადაა ხელისუფლებაში. არასოდეს უცდია, საკუთარი პრინციპებისთვის ეღალატოს. ის ყოველთვის იყო პროდასავლური, იყო ადამიანის უფლებებსა და ევროპულ ღირებულებებზე მომუშავე და მებრძოლი ორგანიზაცია. ჩვენი პარტია პირველია საქართველოდან, რომელიც გაერთიანდა ALDE-ში (ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის ევროპარლამენტში). ეს ძალიან მნიშვნელოვანია მისი ავტორიტეტისთვის. მჭიდრო ურთიერთობები მრავალი წელია არსებობს, რაც ახლა უფრო გაღრმავდა.

*ჩვენ დიდხანს ვიყავით ოპოზიციაში და არ გვეშინია, თუ ხელისუფლებაში არ ვიქნებით, ამით პარტია ნამდვილად არ დაინგრევა. დღეს მოქმედი პოლიტიკოსების დიდ ნაწილს კი ვერ წარმოუდგენია ოპოზიციაში ყოფნა. მათ სურთ, მუდმივად იყვნენ ხელისუფლებაში. ასე არ გამოვა. ჩვენ თუ ვართ კოალიციაში, დასხდნენ ჩვენთან ერთად და სამომავლო გეგმებსა და ღირებულებებზე ერთად ვიმსჯელოთ.*

არც ხელისუფლებას და არც ოპოზიციას არასდროს აწყობდა მოძლიერებული "რესპუბლიკური პარტია", რომელიც დრო და დრო იჩენს თავს. ნიაღვარივით მოედინება უამრავი ჭორი და სიბინძურე, თითქოს ვებრძვით მართლმადიდებლობას, ეროვნულობას, ეკლესიას, პატრიოტიზმს... ერთადერთი, რასაც ჩვენზე ჯერ ვერ ამბობენ, ისაა, რომ თითქოს ვართ კორუმპირებულები და გაუნათლებლები. ჩემს შესახებაც ისეთი რაღაცეები გამიგონია, პირველად ღიმილისმომგვრელი რომ არ იყო და ახლა მართლაც რომ გულიანად მეცინება.

**_ ვერავინ დააჯერებს გოგი თოფაძეს, რომ თინა ხიდაშელმა საგარეჯოში არჩევნები არ გააყალბა.**

_ მეტი აბსურდი რა უნდა იყოს: ხელისუფლების წარმომადგენელი ამბობს, რომ ხელისუფლების წარმომადგენელმა არჩევნები გააყალბა. ადამიანი აშკარად სხვა განზომილებაშია.

**_ თქვენი აზრით, შესაძლებელია, რომ მართლაც ივანიშვილის მოსაზრებებს ახმოვანებდეს თოფაძე?**

_ არა მგონია, მაგრამ მარტო თოფაძეს, შეიძლება, არ სჭირდებოდეს სიტუაციის გართულება.

"ქართული ოცნება" თავისი არსებობის ოთხ წელს ითვლის. მე კარგად ვიცი და დრომაც აჩვენა, რომ დიდი ფული კარგ პარტიას ვერ აკეთებს. პარტიის ჩამოყალიბებას სჭირდება გარკვეული დრო, პერიოდი. თუ პარტია ოპოზიციაში არ არის ნამყოფი, სრულფასოვან პარტიად ვერ ჩაითვლება. "ქართული ოცნება" კი ოპოზიციაში არ ყოფილა, ის პირდაპირ ხელისუფლებაში მოვიდა. ორგანიზაცია არის ჭრელი, სადაც ბევრი დაჯგუფებაა, შიგნით მიდის კონკურენცია და ბრძოლა "უცხოების" ჩასაჩოჩებლად, რათა თავიანთი ადგილები დაიმკვიდრონ მცხუნვარე მზის ქვეშ. აქედან გამომდინარე, ძალიან უშლით ნერვებს "რესპუბლიკური პარტიის" როლი კოალიციაში. ვთქვი და გავიმეორებ: ჩვენ დიდხანს ვიყავით ოპოზიციაში და არ გვეშინია, თუ ხელისუფლებაში არ ვიქნებით, ამით პარტია ნამდვილად არ დაინგრევა. დღეს მოქმედი პოლიტიკოსების დიდ ნაწილს კი ვერ წარმოუდგენია ოპოზიციაში ყოფნა. მათ სურთ, მუდმივად იყვნენ ხელისუფლებაში. ასე არ გამოვა. ჩვენ თუ ვართ კოალიციაში, დასხდნენ ჩვენთან ერთად და სამომავლო გეგმებსა და ღირებულებებზე ერთად ვიმსჯელოთ.

მეც შემიძლია, ვთქვა, რომ გოგი თოფაძე არის წითელი "ცეხავიკი". 70-80-იან წლებში ლუდის ქარხანაში აკეთებდა "პივას", აღებაც იცოდა და გაცემაც. სხვანაირად იმ დროში ვერ იმუშავებდა. მერე შეიძინა ქარხანა, გახდა მილიონერი და მოუნდა პოლიტიკოსობა.

"მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" _ ასე ჰქვია მათ პარტიას. რა მრეწველობით გადაარჩინეს საქართველო? თუ საქართველომ გადაარჩინათ ისინი, ესეც საკითხავია! თოფაძის რეიტინგი 1 პროცენტია და მე თუ მკითხავთ, ესეც ბევრია. წინა არჩევნების რეიტინგი არსებობს, როცა თოფაძე და რამდენიმე პარტია კოალიციურად გამოდიოდა არჩევნებში და მათი მაჩვენებელი 0,99 პროცენტი იყო.

ჩვენ როცა გავედით არჩევნებზე დამოუკიდებლად 2008 წელს, ხმების 3,78 პროცენტი მოვიპოვეთ. მიშას დროს რომელი პარტია გავიდა დამოუკიდებლად და რომელმა მიიღო ასეთი მაჩვენებელი?! არ გვეშინია, მარტო რომ დავრჩეთ, მაგრამ ქვეყნისთვის გაცილებით უკეთესია, კოალიცია არ დაიშალოს, მაქსიმალურად შეასრულოს ის მიზანი, რის გამოც შეიქმნა, ესაა საქართველოს ევროპული გზა და გაწევრიანება ნატოში.

საქართველოში პოლიტიკოსები უნდა მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ პოლიტიკაში ყველაფერი მოლაპარაკებებით და კომპრომისებით მიიღწევა. პარლამენტარი ზაზა პაპუაშვილის ინტერვიუს ვკითხულობდი ცოტა ხნის წინ. ამბობდა, ვერავინ გამიბედავს, მითხრას, სიაში არ იქნებიო. როცა პოლიტიკოსს ასეთი მიდგომა აქვს, მისი ადგილი პოლიტიკაში არ არის. აი, ეს ღუპავს კოალიციასაც და ქვეყანასაც. წელს სხვანაირი არჩევნები გვექნებოდა, მაგრამ პაპუაშვილმა და მისთანებმა არ დაუშვეს, იგი პროპორციული სისტემით ჩატარებულიყო.

"ქართულ ოცნებას" საარჩევნო პროგრამაში უწერია და ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ეს სისტემა უნდა მოეშალა, მაგრამ მაჟორიტარებმა ხელი არ აუწიეს. უმრავლესობის უმრავლესობა მოქმედებს საკუთარი და არა ქვეყნის ინტერესებით. ვიდრე ასე იქნება, მანამ ამ ქვეყანას ევროპული მომავალი არა აქვს.

პოლიტიკას პოლიტიკური პარტიები ქმნიან. მე რატომ ვარ "რესპუბლიკურ პარტიაში"?! ჯერ ერთი, რომ აბსოლუტური შიდა დემოკრატია გვაქვს. მე თუ ვარ "რესპუბლიკელებში", ვამაყობ კიდეც. მიხარია, აქ რომ ვარ, მსიამოვნებს შრომაც და ბრძოლაც. ამ პარტიაში ვი-

→

# სასურველი იქნება, შევინარჩუნოთ კოალიციური რეჟიმი

## არადა, შეიძლება ყველაფერი ერთ დღეში შეიცვალოს



თეა ბაბუნაშვილი

***"მრეწველებისა" და "რესპუბლიკელების" ბრძოლა საომრად იქუფრება-თქო, რომ ვთქვათ, იქნებ ვინმე გავაბრაზოთ კიდეც. პოლიტსაბჭომდე, მათი დაზავების ან შერკინების ბედი რომ უნდა გადაწყვიტოს, სულ უფრო ცოტა რჩება. "განხეთქილების ვაშლი" კვლავ ქალის გამო ჩავარდა, თუნდაც, ეს ქალი თავდაცვის მინისტრი იყოს. თუ ეს ყველაფერი ეპატაჟური განცხადებებით პოპულარობაშემატებული მამაკაცი პარლამენტარის დამსახურებაა, უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს. თემა კამათის ჩარჩოებს უკიდურესად გამწვავებული გასცდა. რადგან, ნებსით თუ უნებლიეთ, ამ "გაუგებრობაში" სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატიც მოჰყვა, მასთან რამდენიმე კითხვის დასმა არ დავაყოვნეთ. გიორგი კახიანი სიტუაციაში ამჯერად ადგილობრივი გაზეთის ფურცლებიდან არკვევს მკითხველსა და ამომრჩეველს. მისი პოლიტიკური პოზიცია კვლავ კოალიციური ერთობის მომხრეა. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს... ამ და სხვა კითხვებზეც მასთან ინტერვიუ გიპასუხებთ.***

**_ ბატონო გიორგი, "მრეწველებსა" და "რესპუბლიკელებს" შორის დაპირისპირება შორს წავიდა. მიუხედავად იმისა, რომ თავად ფრაქცია "მრეწველების" წევრი ბრძანდებით, გოგი თოფაძის პოზიციას გაემიჯნეთ. ამის გამო, დაპირისპირებას არ დავარქმევთ და წინააღმდეგობაში მოხვედით საკუთარი ფრაქციის წევრებთან...**

_ ჩემი პოზიცია, ბატონ გოგისა და დავით ბერძენიშვილს შორის არსებულ დაპირისპირებაზე, დიახ, ხმამაღლა გამოვხატე. უმრავლესობა პარლამენტში 87 წევრით განისაზღვრება. ბუნებრივია, შეიძლება კონფლიქტი განსხვავებული შეხედულებების გამო წარმოიშვას, მაგრამ ასეთი საკითხების განხილვა უნდა ხდებოდეს კოალიციურ რეჟიმში, კოალიციურ ფორმატში. საჯაროდ კი უნდა გამოვიტანოთ ერთიანი, კონსესუსმიღწეული გადაწყვეტილება. თუ ვერა და ვერ მივაღწიეთ კონსესუსს, ამის შემდეგ შეიძლება რაღაც საკითხების გასაჯაროება და მათზე

> არც კოალიციაში გაკეთებულა ამაზე აქცენტი და არც ჩემი მხრიდან იყო განცხადება, თითქოს მე ვაპირებდე ფრაქციის დატოვებას.

პარლამენტის ტრიბუნიდან ან მედიასთან საუბარი.

ამჯერად კი, ერთ შემთხვევაში პირდაპირ საპარლამენტო ტრიბუნიდან, მეორე შემთხვევაში ტელევიზიით, მათ საჯაროდ დააფიქსირეს თავიანთი შეხედულებები ერთმანეთთან მიმართებაში. ამას ვერ მივესალმები და ვთვლი, რომ ეს არასწორი იყო. საიდან და როგორ დაიწყო კონფლიქტი ბატონ გოგისა და "რესპუბლიკელებს" შორის, საზოგადოებისთვის ცნობილია. დავსძენ მხოლოდ იმას, რომ რაც შეეხება საგარეჯოში ჩატარებული შუალედური არჩევნების არაკანონიერებას, მე კატეგორიულად გავემიჯნე იმ აზრს, რომ რამენაირ დარღვევას ჰქონდა ადგილი.

**_ ბუნებრივია, ფრაქციის თავმჯდომარის უკმაყოფილებაც ამან გამოიწვია თქვენი, ანუ ფრაქცია "მრეწველების" წევრის მიმართ.**

_ რაც შეეხება ფრაქციის საკითხს, საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ ეს ფრაქცია შეიქმნა კოალიციური გადაწყვეტილების შესაბამისად. თავის დროზე სამტრედიასა და ბაღდადში საჭირო გახდა შუალედური არჩევნების ჩატარება. ამ დროისათვის "მრეწველები" მხოლოდ ოთხი წევრით იყვნენ წარმოდგენილი პარლამენტში. იმისთვის, რომ ფრაქცია შეიქმნას, ჩვენი რეგლამენტით საჭიროა სულ ცოტა 6 პარლამენტარი. ჯერ კიდევ მანამ, სანამ შუალედური არჩევნები ჩატარდებოდა, კოალიციაში მიღებული იყო გადაწყვეტილება, რომ მასში გამარჯვებული წევრები დაემატებოდნენ ამ ჯგუფს და შექმნიდნენ ფრაქციას.

**_ და რადგან მხოლოდ ამ გადაწყვეტილების და კანონის გამო მოხვდით "მრეწველებთან" ფრაქციაში, ვისი იდეური თანამოაზრე ბრძანდებით, ბატონო გიორგი?**

_ მე და ბაღდათის მაჟორიტარი გახლავართ პარტია "ქართული ოცნების" წევრები, თუმცა, როგორც მოგახსენეთ, ამ გადაწყვეტილების გამო, ვართ ამ ფრაქციის შემადგენლობაში.

**_ როგორც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ ფრაქციის შესაძლო დატოვებაზეც კი გააკეთეთ განცხადება. ზურაბ ტყემალაძემ კი სატელევიზიო კომენტარში აღნიშნა, რომ თუ ამის სურვილი გექნებოდათ, დატოვებდით ფრაქციას. ეს კი, ფაქტობრივად, მისი დაშლის ტოლფასია.**

_ იმ ინციდენტის შემდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბოლო პერიოდში, ფრაქციის დაშლაზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა. არც კოალიციაში გაკეთებულა ამაზე აქცენტი და არც ჩემი მხრიდან იყო განცხადება, თითქოს მე ვაპირებდე მის დატოვებას. რაც შეეხება ბატონი ზურაბის განცხადებას, ეს ჟურნალისტების მიერ მიკერძოებულად გაკეთებული სიუჟეტის ბრალია. ბატონ ზურაბს დაუსვეს კითხვა, თუ დააპირა ფრაქციის დატოვებაო და ის რას ეტყოდა? თუ დატოვება უნდა, დატოვებსო. აბა, რა უნდა ეპასუხა, პარლამენტის დეპუტატი თავისუფალია თავის გადაწყვეტილებებში. ბატონ ზურაბს არაკორექტულად არაფერი უთქვამს.

**_ ესე იგი, მსგავსი არაფერი გითქვამთ და არც ფრაქციის დატოვებას აპირებთ?**

_ ჩემი ამ ფრაქციის წევრობა გახლდათ კოალიციური გადაწყვეტილება, მასში არც არაფერი შეცვლილა. მეტიც, საერთოდ არ ყოფილა საუბარი ფრაქციის დაშლაზე და ვფიქრობ, რომ ამ მოწვევის პარლამენტში არც დადგება ეს საკითხი დღის წესრიგში.

**_ არჩევნებამდე რამდენიმე თვეა დარჩენილი. სამომავლოდ კვლავ სამტრედია იქნება თქვენი საარჩევნო პლაცდარმი თუ სხვა გეგმები გაქვთ?**

_ ახლოვდება არჩევნები, ეს კი ნიშნავს, რომ მედიას სულ უფრო აინტერესებს საარჩევნო სიები და მასთან დაკავშირებული "საიდუმლოებები". ბუნებრივია, ეს თემები განსაკუთრებით საინტერესო ხდება. რაც შემეხება მე, მე ვიქნები იქ, სადაც დავჭირდები ჩემს გუნდს, სადაც "ქართულ ოცნებას" დასჭირდება!

**_ და მაინც, დაპირისპირებისას "რესპუბლიკელებსა" და "მრეწველებს" შორის, თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს კოალიციის პოზიცია, ორივე პარტია უნდა იყოს მის შემადგენლობაში თუ ერთ-ერთის, ან ორივეს გარეშე შეუძლია მას გააგრძელოს პოლიტიკური მოღვაწეობა?**

_ ჩემი აზრით, სასურველი იქნება, რომ შევინარჩუნოთ კოალიციური ერთობა, კოალიციური რეჟიმი და მომავალ არჩევნებზე წარვსდგეთ იგივე შემადგენლობით, როგორც ეს დღეს არის. სამწუხაროა, რომ თავისუფალი დემოკრატები უკვე გამოგვაკლდნენ კოალიციიდან. თუმცა, არჩევნებამდე რამდენიმე თვეა დარჩენილი. არადა, შეიძლება ყველაფერი ერთ დღეში შეიცვალოს. წინასწარ რამეს თქმა ძნელია, მაგრამ ჩემი პოზიცია მოახლოებულ არჩევნებში კოალიციური ერთობით მონაწილეობას ემხრობა.

## ჩვენს გარეშე ხელისუფლება ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებს

ყავი, როცა მივდიოდი არჩევნებზე და ვიცოდი წავაგებდი, მაგრამ რწმენა მქონდა, რომ კარგ საქმეს ვაკეთებდი. წლების განმავლობაში ეს რწმენა კიდევ უფრო გაასმაგდა. პოლიტიკურად მეც გავიზარდე. კიდევ უფრო გავიცანი ჩემი ახლობლები, თანაპარტიელები, იოტისოდენა ეჭვიც არ მეპარება მათ პატიოსნებაში, კომპეტენციაში, პატრიოტიზმში.

ვუსმენ პოლიტიკოსების გარკვეულ ჯგუფს, რომლებიც ამბობენ, რომ ქვეყანაში დემოკრატიის აშენების სურვილი კლავთ, მაგრამ არ მჯერა მათი, ერთი მარტივი მიზეზის გამო. მათ დემოკრატია საკუთარ პარტიაში, საკუთარ ოჯახში არა აქვთ. როდესაც ის თავის წევრს არ აფასებს, არ აინტერესებს მისი აზრი, პარტიაც თანამდებობის პირებს ვერ თუ არ ირჩევს დემოკრატიულად, ეჭვი მეპარება, შეძლოს ქვეყანაში დემოკრატიის აშენება.

**_ როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ აზერხებენ ამას, ნება არა აქვთ თუ პოლიტიკური განათლება?**

_ გამოცდილება არა აქვთ, არც პოლიტიკური განათლება და კიდევ კონკურენციის ეშინიათ. ეს საბოლოო ჯამში იღებს ისეთ მახინჯ ფორმას, როგორიც უხვად გვაქვს ამ ქვეყანაში.

**_ რით დასრულდება კოალიციაში არსებული დაპირისპირება?**

_ წინასწარ არ ვიცი. თემა გახსნილია და უნდა დასრულდეს. კოალიციამ

> *კოალიციის დაშლა არ არის ტრაგედია, ბოლოს და ბოლოს, იმპერიები დაშლილა და ერთ დღეს კოალიციაც დაიშლება, მაგრამ ამ ეტაპზე, ჩემი აზრით, ეს არ მოხდება. ვფიქრობ, ლიდერებს ეყოფათ გონიერება, რომ შეთანხმდნენ.*

უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და უნდა შეთანხმდნენ ძირითად ღირებულებებზე, პარტიების როლზე კოალიციაში. თუ არადა, კოალიცია აღარ იარსებებს, მას მომავალი არა აქვს. მართალია, კოალიციის დაშლა არ არის ტრაგედია, ბოლოს და ბოლოს, იმპერიები დაშლილა და ერთ დღეს კოალიციაც დაიშლება, მაგრამ ამ ეტაპზე, ჩემი აზრით, ეს არ მოხდება. ვფიქრობ, ლიდერებს ეყოფათ გონიერება, რომ შეთანხმდნენ.

როგორ შეიძლება, თოფაძეს მოსწონდეს ევროპული განათლება! მან ფული საბჭოთა პერიოდში იშოვა და მთელი ცხოვრება იმ პერიოდში გაატარა. უნდა მას ახლა კონკურენტი?! რა, შევარდნაძის დროს არ იყო პარლამენტში? ვერ მოახერხა? მიშას დროს ვერ შევიდა იქ, თუ ახლა არ არის?

**_ თავის დროზე "რესპუბლიკელების" მიმართ ბიძინა ივანიშვილის განსაკუთრებულ დამოკიდებულებად აღიქვა საზოგადოებამ, როცა თავდაცვის მინისტრად თინა ხიდაშელი დაინიშნა, თანაც ქალბატონი და სამხედრო საქმის არმცოდნე.**

_ ჩვენ 21-ე საუკუნეში ვართ... ადამიანების კატეგორიას, რომელთაც, თითქოსდა, ჭკუა მოეკითხებათ, ვითომ პოლიტიკური ლიდერები არიან, გვეუბნებიან, რომ ქალი არ უნდა იყოს თავდაცვის მინისტრი, როცა ჯერ კიდევ საუკუნეების წინ ქალი და მამაკაცი თანასწორი იყო. დღეს უკვე ზოგიერთ პროფესიაში ქალის როლი გაცილებით მაღალია, ვიდრე კაცის. თინა ხიდაშელი მიმაჩნია ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მინისტრად. ბოლო ერთი წლის განმავლობაში იმდენი არც ერთ მინისტრს არ გაუკეთებია, როგორც მან. მუდმივად 24 საათიან გრაფიკში მუშაობს. ველისში ვარშავის სამიტზე გამოჩნდება, თუ მან რა მძიმე და შრომატევადი საქმიანობა გასწია. მართალია, ეს პროცესი ახლა არ დაწყებულა, მაგრამ ამ საქმის აკუმულირება სწორედ ამჯერად ხდება. მას დასავლეთის ყველა პოლიტიკური ლიდერი აღიარებს. თინა ხიდაშელი არ იყოს ამ თანამდებობაზე, ძალიან სუბიექტურ მიდგომად მიმაჩნია.

თავდაცვის მინისტრი არის მენეჯერი, არ არის აუცილებელი სამხედრო ცოდნა ჰქონდეს. ის მართავს სამინისტროს. ამერიკაში როცა ირჩევენ ქალაქის მერს, ამ უკანასკნელს მოჰყავს მენეჯერი, რომელიც მართავს ყველაფერს.

**_ კოალიციის დაშლის შემთხვევაში შეძლებენ "რესპუბლიკელები" არჩევნებში გამარჯვებას და ხელისუფლებაში ხელახალ მოსვლას?**

_ ვერა, ვერ შეძლებენ. ახლა ჩვენ არ გვაქვს იმდენი რესურსი, რომ ხელისუფლებაში მოვიდეთ. რესურსი გვაქვს, ვიყოთ პარლამენტში. ჩვენს გარეშე ხელისუფლება ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებს. ჩვენი პარტიის წონა განსაკუთრებით გამოჩნდება მაშინ, როცა ის ცალკე იქნება. მე როგორც ამ პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი, მომხრე ვარ, "რესპუბლიკური პარტია" დამოუკიდებლად გავიდეს არჩევნებში, ეს წაადგება პარტიასაც, მის ამომრჩეველსაც და წაადგება ქვეყანასაც.

# ბავშვთა აღზრდის პროცესში განათლება უნდა დაბრუნდეს

ნინო ნანიტაშვილი

***"საქართველოს კანონის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" პროექტის საჯარო პრეზენტაცია 18 თებერვალს სამტრედიაში, ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში შედგა.***

***პროექტის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად აუდიტორია იმერეთის რეგიონიდან შეიკრიბა: სკოლამდელ დაწესებულებათა აღზრდის გაერთიანების ხელმძღვანელები, მუნიციპალიტეტის გამგებლები, ქალაქის მერები, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატები, ასევე დეპუტატები უმრავლესობიდან.***







ტრიბუნაზე ადგილი დაიკავეს პროექტის ინიციატორებმა და ავტორებმა ეკა ბესელიამ, გედევან ფოფხაძემ, ოთარ ჩრდილელმა, საშა გრაუმანმა, ლია გიგაურმა.

საჯარო პრეზენტაციის მონაწილეებს მიესალმა და პროექტს წარმატება უსურვა სამტრედიის მაჟორიტარმა დეპუტატმა, გიორგი კახიანმა: "დღევანდელი ჩვენი შეხვედრა წარმომადგენლობითია. მოგესალმებით თითოეულ თქვენგანს, იმერეთის გუბერნიის ოფიციალურ პირებს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დარბაზში არიან ადამიანები, რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ დარგთან, იციან, რა პრობლემებია ბაგა-ბაღებში, მოწადინებულები არიან, სკოლამდელი აღზრდა იყოს უფრო ეფექტური. ასეთი წარმომადგენლობა მიუთითებს იმაზე, რომ საკითხი არის აქტუალური.

მე შემიძლია, გითხრათ, როგორც სამტრედიის მაჟორიტარმა დეპუტატმა კარგად ვიცი, რა პრობლემებია ბაღებთან დაკავშირებით. გვინდა, რომ უკეთესი ინფრასტრუქტურა იყოს, მოწესრიგდეს შენობები. სახელმწიფო ცდილობს, შესაბამისი ნაბიჯები გადადგას. ის კანონპროექტი, რომლის, პრეზენტაცია დღეს იქნება, ვფიქრობ, რომ ყველას დააინტერესებს".

ვრცელი მოხსენებით გამოვიდა და პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა, საშა გრაუმანმა:

"გაეროს ბავშვთა ფონდი მხარს უჭერს სკოლამდელი განათლების რეფორმას საქართველოში, ვინაიდან ეს არის უმნიშვნელოვანესი ინოვაცია თანასწორი და ყველა ბავშვისთვის ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნისათვის. კანონი დანერგავს ეროვნულ სტანდარტებს, ავტორიზაციისა და მონიტორინგის მექანიზმებს და უზრუნველყოფს ინკლუზიურობის პრინციპს ყველა ბავშვის ჩართულობისთვის.

კანონი აგრეთვე უზრუნველყოფს აღმზრდელ პედაგოგთა გადამზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. გარდა ამისა, შემცირდება ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობა და მოსწავლისა და მასწავლებლის თანაფარდობა.

დასახული მიზნების მიღწევისათვის აუცილებელია მუნიციპალიტეტების მიერ განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება სკოლამდელ განათლებაზე, რასაც მონიტორინგს გაუწევენ ცენტრალური სამინისტროები.

გაეროს ბავშვთა ფონდი იმედოვნებს, რომ რეფორმის შედეგად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნება ყველასათვის ხელმისაწვდომი მაღალი ხარისხის სკოლამდელი განათლების სისტემა. მზად ვართ, გავაგრძელოთ საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის მხარდაჭერა რეფორმის პროცესში".

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონპროექტის პრეზენტაცია საკმაოდ საინტერესოდ წარმოადგინა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ, ეკა ბესელიამ: "დიდი პატივისცემით მოგესალმებით ყველას. მიხარია, რომ ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმის გასაცნობად ჩამოვედით. ძალიან მოკლედ, მაგრამ არსებითად მინდა, გაგაცნოთ ის რეფორმა, რომელიც მოვამზადეთ ბავშვებისთვის, ჩვენი შვილებისთვის. ეს ერთ-ერთი საუკეთესო რეფორმაა, რომელიც შეთავაზებული იქნება ჩვენი ხელისუფლების მიერ. არ არსებობს იმაზე მეტი სიკეთე, გონივრულად გაღებული ინვესტიცია, ბავშვების განათლებასა და აღზრდაში ჩადებული სახელმწიფოს რესურსი. ჩვენ პირველივე წელს გამოვაცხადეთ, რომ სკოლამდელი დაწესებულებები უნდა ყოფილიყო უფასო. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმისთვის, რომ დავხმარებოდით ყველა იმ ოჯახს, ვისთვისაც ეს იყო მნიშვნელოვანი. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ჩვენ მოვამზადეთ ახალი კანონი და 15 არსებულ კანონში შედის ცვლილება. ახალი რეფორმა მიზნად იმას ისახავს, რომ განათლება დაბრუნდეს ბავშვთა აღზრდის პროცესში. დღეს არის ბაგა-ბაღები, სადაც არის მხოლოდ სააღმზრდელო პროცესი. ამიერიდან იქნება აღზრდისა და განათლების პროცესი. ეს არის უნივერსალური, რადგან შეუძლებელია აღზრდის პროცესი განათლების კომპონენტის გარეშე.

დიდი ისტორია აქვს ამ რეფორმის მომზადებას. გაეროს ბავშვთა ფონდმა, ბატონმა საშამ, საქართველოს არაჩვეულებრივმა მეგობარმა და მისმა გუნდმა, ძალიან დიდი შრომა ჩადეს პირველ ეტაპზე. ყველა არსებითი საკითხი, რაც უნდა ყოფილიყო ამ რეფორმის ნაწილი, მათ ეს ყველაფერი მოამზადეს. ორი წლის წინ ჩვენმა კომიტეტმა იშვილა ეს პროექტი და 2014 წლიდან დავიწყეთ ამ ახალ კანონზე მუშაობა. ძალიან ბევრი დრო დაგვჭირდა, წელიწადი და 10 თვე. დიდი რეფორმაა, ბევრ ქვეყანას არა აქვს. აქვს ძალიან მაღალი განვითარების ქვეყნებს, მაგრამ ეს უნდა ჰქონდეს ყველას. ეს არის აუცილებელი, იმიტომ, რომ გაეროს კონვენცია, ბავშვთა უფლებების შესახებ, ეს პრინციპები, რომელიც სახელმწიფოს ავალდებულებს, რომ ჰქონდეს სკოლამდელ დაწესებულებებში ერთიანი სტანდარტი, ეს არის აუცილებელი.

დღეს რა ვითარება გვაქვს? ბევრი თქვენგანი ვიცი, წარმოადგენს ბაგა-ბაღებს და თავად მონაწილეობდა ამ პროცესში. დღეს არ არსებობს კანონი, რომელიც აწესრიგებს ამ სფეროს. არის ერთადერთი ჩანაწერი თვითმმართველობის კოდექსში, რომ მუნიციპალიტეტი ქმნის და უზრუნველყოფს სკოლამდელი დაწესებულების ფუნქციონირებას. ეს არ არის საკმარისი, არ არის ერთიანი სტანდარტი. მაგალითად, ფოთსა და სამტრედიაში რამდენი ბაგა-ბაღიც არის, ყველგან აბსოლუტურად ინდივიდუალურია პროცესი. როგორც თვლის საჭიროდ ადმინისტრაცია, ისე მიმდინარეობს ეს პროცესი. არის ბევრი ბაგა-ბაღი, ვერანაირ კრიტიკას რომ ვერ უძლებს. დღეს ძალიან ბევრი კერძო ბაღი გაიხსნა სადარბაზოში, კორპუსებში, პატარა ბინებში, არავითარი უსაფრთხოების წესები არ არის. აქ საქმე ეხებათ ბავშვებს. როგორი ძვირადღირებულიც არ უნდა იყოს ეს რეფორმა, რესურსი სახელმწიფომ უნდა გაიღოს.

ამიტომ დაგვჭირდა 2 წელი. ყველა უწყება მონაწილეობდა ჩვენთან ერთად, რომ შევთანხმებულიყავით, რას ვაკეთებთ და ვინ რაზე იყო პასუხისმგებელი.

რა არის ახლა ის სიახლე, რომელიც ჩვენ უნდა შემოგთავაზოთ. ჩვენ ვთავაზობთ იმას, რომ იქნება განათლების ერთიანი ეროვნული მოდელი, ერთიანი პროგრამით ისწავლის ყველა ბავშვი ნებისმიერ მუნიციპალიტეტში. სამტრედიაში იქნება თუ ფოთში. მიუხედავად იმისა, რომელი მუნიციპალიტეტია მდიდარი და რომელი ნაკლებ ბიუჯეტიანი, ყველას ექნება ერთიანი სტანდარტი. რადგან არ შეიძლება, ბავშვი იკვებებოდეს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში სხვადასხვაგვარად. ბავშვის ინტერესია ყველაზე მნიშვნელოვანი. ამიტომ იქნება ერთიანი საგანმანათლებლო პროგრამა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უკვე მოამზადა და დაამტკიცა აღნიშნული პროგრამა და იგი პილოტურად დაიწყო თბილისში. მეორე პრინციპი ეს არის ბავშვის დაცვა ნებისმიერი სახის ძალადობისაგან. ძალიან გაგახარებთ ინფორმაცია, რომელსაც ახლა გეტყვით, უბრუნდებათ აღმზრდელებს პედაგოგის სტატუსი. ჩემთვისაც ძალიან ემოციურია ეს რადგან, როცა წინასაარჩევნოდ შეხვედრებზე დავდიოდით თითქმის ყველა აღმზრდელი გვთხოვდა, დაგვიბრუნეთ პედაგოგის სტატუსიო. მათ ექნებათ აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსი. ამ კანონში ჩვენ ჩავდეთ, რომ იქნება ერთიანი სტანდარტი. კანონში ჩავდეთ ტრენინგების აუცილებლობა, რომ მათ ეს უნიკალური რეფორმა ბავშვებამდე მოიტანონ. პირველად შემოდის ავტორიზების სისტემა. ეს ნიშნავს იმას, რომ ყველა სკოლამდელი დაწესებულება, საჯარო იქნება თუ კერძო, დაექვემდებარება ავტორიზაციას, რადგან არ შეიძლება, კერძო ბაღში სწავლობდეს სხვა სტანდარტით და სახელმწიფოში სხვა სტანდარტით.

ავტორიზების სისტემა მისი მინიჭებისა და შეჩერება-შეწყვეტის უფლებით მუნიციპალიტეტის კომპეტენცია იქნება.

თუ ეს რეფორმა არ მოექცა გარკვეული მონიტორინგის ქვეშ, გაჩნდება ბევრი კითხვის ნიშანი. ჩვენ კარგი მოდელი შემოგვაქვს, მუნიციპალიტეტებს არ ვტოვებთ მარტოს ამ რეფორმის პირისპირ. ჩვენ მთავრობას გადავუნაწილეთ ეს ფუნქციები, დაინახავთ, რა კარგი მოდელი შემოდის: მთავრობა, მუნიციპალიტეტი, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება გადაინაწილებენ ამ ფუნქციებს, თუმცა, მუნიციპალიტეტებს ექნებათ წამყვანი როლი.

ინკლუზია და თანაბარი ხელმისაწვდომობა ბავშვისთვის და სკოლამდელი დაწესებულების ერთიანი მონაცემთა ბაზა – ეს უკანასკნელი არ არსებობდა, ამიტომ ძალიან გაგვიჭირდა მუშაობა. არ იყო დათვლილი, რამდენი ბავშვია, რამდენი აღმზრდელი, რამდენი ბაგა-ბაღი გვჭირდება. რეფორმაში შემოვიტანეთ, საქსტატი იქნება ვალდებული, ჰქონდეს ერთიანი ბაზა, რა ინფორმაციაც დასჭირდებათ, იმ ინფორმაციას მიიღებთ. გავითვალისწინეთ, ანუ ეთნიკური უმცირესობები და მშობელთა მაქსიმალური ჩართულობა. ამისთვის შემოგვაქვს ახალი ფორმა, ეს არის მშობელთა საკონსულტაციო საბჭო. 7 კაციანი ბავშვთა დაცვის კონკრეტული მავალდებულებელი ნომრები, რომ ბავშვი დაცული იყოს ნებისმიერი სახის ძალადობისაგან.

აი, ორსაფეხურიანი სასწავლო სისტემა, ორწლამდე, ორი წლიდან სკოლაში შესვლამდე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასკოლო მზაობის პროგრამას. ბავშვი სკოლაში წასვლამდე ამ პროგრამას უნდა გადიოდეს.

ისმის კითხვა: რამდენი წლის უნდა წავიდეს ბავშვი სკოლაში, მთავარი არ არის ასაკი, მთავარია, როგორი მომზადებული მიდის სკოლაში. დღეს კვლევები, სამწუხაროდ, აჩვენებს, რომ ამ ასაკის ქართველი ბავშვები სხვა ქვეყნის ბავშვებთან შედარებით გარკვეულად ჩამორჩებიან.

კიდევ ერთი სიახლე – არ შეიძლება 25 ბავშვზე მეტი იყოს 2-დან 3 წლამდე ჯგუფში. არ შეიძლება 13 ბავშვზე მეტს ჰყავდეს ერთი აღმზრდელი. ეს ნიშნავს იმას, რომ მეტი აღმზრდელი, მეტი ბაღი გვჭირდება, ამიტომაც არის ეს საკმაოდ ძვირადღირებული რეფორმა. ავტორიზაციას მიიღებს ის სკოლამდელი დაწესებულება, რომელიც დააკმაყოფილებს განათლების ერთიან სახელმწიფო სტანდარტს: შენობა, ნაგებობა, ინფრასტრუქტურა, ტექნიკური ბაზა უნდა იყოს დადგენილი რეგლამენტის თანახმად, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, სურსათი, კვება, ადამიანური რესურსი, კვალიფიკაცია აღმზრდელ-პედაგოგების. 5-ვე კომპონენტი როცა იქნება სტანდარტების შესაბამისი, ავტორიზაციას გაივლის. ტექნიკურ რეგლამენტს ამტკიცებს მთავრობა. კანონი რომ ამოქმედდება, ყველა რეგლამენტი უკვე იქნება მზად და ამ რეგლამენტით დაიწყება მუშაობა. თუმცა, ეს რეგლამენტი უკვე არსებობს. მონიტორინგი – განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამ პროცესს ეხმარება იმით, რომ ერთიან საგანმანათლებლო პროგრამას ადგენს, ერთიან სტანდარტებს დანერგავს, დამტკიცებულს მთავრობის მიერ და შესაბამის რეკომენდაციებს აძლევს დაწესებულებებს. შიდა მონიტორინგი მუნიციპალიტეტის საქმეა, შეამოწმოს, აკრედიტაციის პირობებს შეესაბამება თუ არა დაწესებულება. აქვეა ჩართული შრომის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, ის ტექნიკურ რეგლამენტს ადგენს, თუ როგორი უნდა იყოს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. და ასევე, სურსათის უვნებლობაზე ადგენს, შეიმუშავებს ტექნიკურ რეგლამენტს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ის შეიმუშავებს ტექნიკურ რეგლამენტს, როგორი უნდა იყოს შენობა-ნაგებობება, ინფრასტრუქტურა. სურსათის უვნებლობის სააგენტო შეამოწმებს დაწესებულებაში სურსათის უვნებლობას. დანარჩენი არის ადგილობრივი თვითმმართველობის საქმე. ეს არის ავტორიზაციის მინიჭება, შეჩერება, დაფუძნება, კონტროლი, მონიტორინგი და ა. შ. ჩვენ კანონის განხილვა უკვე დავიწყეთ პარლამენტში. დღესაც იყო განათლების კომიტეტზე ძალიან დეტალური განხილვა, ეს კანონი მივიღოთ მალე, წელსვე და 2017 წლის სექტემბრიდან უკვე ამოქმედებულ უნდა იყოს ერთიანი სტანდარტი განათლების სახელმწიფო სტანდარტი და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი, ახალი ტრენინგმოდულები და ტექნიკური რეგლამენტი ყველა მიმართულებით. ხოლო 2020 წელს უნდა დასრულდეს ახალი ბაღების აშენება. ყველა არსებული ბაღი უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს. შედეგი არის, რომ ჩვენი ბავშვები მიიღებენ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე ყველა აუცილებელ სიკეთეს სახელმწიფოსაგან უფასოდ. ეს ნიშნავს იმას, რომ ამ ასაკში, როდესაც სახელმწიფო დებს ძალიან მნიშვნელოვან ინვესტიციას ბავშვებში, ნიშნავს იმას, რომ მომავალში ისინი არა მარტო სკოლისთვის იქნებიან მზად, მათი პიროვნული ჩამოყალიბების პროცესი არის ჯანსაღი. ეს შემდეგ ამცირებს აგრესიებს, ძალადობრივ გამოვლინებებს, დანაშაულებრივ ქმედებებს, იმიტომ, რომ ისინი სრულფასოვან სერვისს იღებენ სწორედ იმ ეტაპზე, როდესაც ყალიბდება ბავშვი.

გვინდა, რომ თქვენთან ერთად განვახორციელოთ ეს რეფორმა, იმიტომ გაცნობთ ადრეულ ეტაპზე. ჩვენ არ გვინდა, იგი იწერებოდეს კაბინეტებში, ისე, რომ მისი თანამონაწილე არ იყოს ის

→

# სამტრედიაში სახელდების დროებითი კომისია ამოქმედდა

ნინო ნანიტაშვილი

22 თებერვალს მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის დროებითი კომისიის პირველი სხდომა გაიმართა.

დროებითი კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება საკრებულომ 2015 წლის დეკემბერში მიიღო. იქვე დამტკიცდა კომისია შემდეგი შემადგენლობით: ვალერიანე ფოცხვერია, კობა ძიძიგური, მანანა სირბილაძე, გიორგი ლეჟავა, ჯონი ნადირაძე, ბექან გოგია, თამაზ მურღულაია, იმედა გოგავა, ნინო შარაშენიძე, ავთანდილ თადუმაძე, სოფიო კირთაძე, ჯონი ახობაძე, მიხეილ ამაღლობელი, ლიზა კრავეიშვილი, ალექსანდრე თევზაძე. საპატიო მიზეზების გამო პირველი სხდომის ჩატარება 2 თვის შემდეგ მოხდა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, რომელიც სიის პირველი ნომერი გახლდათ, უარი თქვა კომისიის წევრობაზე და მის ნაცვლად კომისიას ახალ წევრად დავით ბახტაძე, მისი პირველი მოადგილე შესთავაზა.

სხდომის დღის წესრიგში 6 საკითხი იყო: 1. კომისიის თავმჯდომარის არჩევა; 2. კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევა; 3. მე-6 საჯარო სკოლის წერილობითი მომართვის განხილვა; 4. ვალერიანე ფოცხვერიას მომართვა კანდელაკის ქუჩის მოსახლეობის განცხადების განხილვის შესახებ, 5. საზოგადოება "სამტრედიელის" წერილობითი მომართვის განხილვა; 6. გამგებლის წერილობითი მომართვა მერაბ კოსტავას ქუჩის მცხოვრებთა განცხადების შესახებ.

კობა ძიძიგური კომისიამ სახელდებისა და სიმბოლიკის დროებითი კომისიის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია, მის მოადგილედ ასევე ერთხმად იქნა არჩეული ლიზა კრავეიშვილი.

კომისიამ იმსჯელა ცალკეული შემოსული განცხადებების ირგვლივ, გამოითქვა აზრთა სხვადასხვაობა და საბოლოოდ შეჯერდნენ, რომ საკითხების უკეთესად შესწავლისთვის სხდომა გადადებულიყო, რასაც, კომისიის წევრთა უმრავლესობის აზრით, კრიტერიუმების ჩამოყალიბება უნდა უძღვოდეს.

"სამტრედიის მაცნემ" მეტი განმარტებისათვის კომენტარი სახელდებისა და სიმბოლიკის დროებითი კომისიის თავმჯდომარეს, კობა ძიძიგურს სთხოვა: "არჩევნების გარდა 4 საკითხი იყო განსახილველი. მოკლედ შევეხები ცალკეულ მათგანს. მე-6 საჯარო სკოლიდან შემოსულია განცხადება, რომლის მიხედვითაც სამეურვეო საბჭო ითხოვს მე-6 საჯარო სკოლისთვის 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მარლენ ბარამიას სახელის მინიჭებას. ჩვენ მსგავსი შემთხვევა გვქონდა, რომელიც საკრებულოზე განვიხილეთ, კერძოდ, ტოლების საჯარო სკოლისთვის ანზორ გოგოლაძის სახელის მინიჭების შესახებ. საკრებულომ მაშინ მიიღო გადაწყვეტილება, განათლების სამინისტროსთვის საკრებულოს სახელით შუამდგომლობა გაგვეგზავნა. პასუხად ჩამონათვალი მივიღეთ, რომლის მიხედვითაც ხდება სკოლებზე სახელების მინიჭება. ესენია: 1. სამშობლოს დაცვის, ქართული სახელმწიფოს მშენებლობის ან საზოგადოების კონსოლიდაციის საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე ეროვნული ან საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული გარდაცვლილი საერო ან სასულიერო პირის სახელი. 2. სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის აღმნიშვნელი სახელი. 3. სკოლაში დანერგილი სასწავლო პროგრამის ან მეთოდიკის სახელი. 4. ქართული კულტურის, ხელოვნების, ენის, მეცნიერების, ლიტერატურის, სპორტის განვითარების საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე ეროვნული ან საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული საერო ან სასულიერო პირის სახელი, რომლის გარდაცვალების დღიდან გასულია, სულ მცირე, 20 წელი. სახელდების დროებითი კომისიის პირველ სხდომაზე ამ ჩამონათვალის გაჟღერების შემდეგ, საკითხი უკეთ შესწავლის მიზნით, გადაიდო. მეორე საკითხი, კანდელაკის ქუჩის მცხოვრებთა განაცხადი იყო ბატონი სერგო წილოსანის სახელის რომელიმე ქუჩაზე მინიჭების შესახებ. აღნიშნული პიროვნების ბიოგრაფია იქნა წაკითხული, ბატონმა ჯონი ნადირაძემ მასთან პირადი ნაცნობობაც გაიხსენა. ითქვა, რომ იყო ძალიან დადებითი პიროვნება, მაგრამ რომელიმე ქუჩისთვის მისი სახელის მინიჭებისაგან თავი შევიკავეთ კრიტერიუმების ჩამოყალიბებამდე. კომისიის წევრები ამ საკითხზე შევჯერდით, რომ გავითვალისწინოთ სხვა დიდი ქალაქების გამოცდილება. თითოეული კომისიის წევრისგან იყოს საკუთარი ვერსიები წარმოდგენილი, რომლითაც საერთო კრიტერიუმებს ჩამოვაყალიბებთ და რომლის საფუძველზეც იქნება შემდგომ ყველა მსგავსი განცხადება განხილული. საზოგადოება "სამტრედიელი" პირველ სხდომაზე ვალიკო კოპალეიშვილის ბიუსტის დადგმის ინიციატივით შემოვიდა. ამ საკითხზეც ვიმსჯელეთ, ბატონი ვალიკოს ღვაწლი ყველამ დადებითად შეაფასა, მაგრამ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებაზე თავი შევიკავეთ ისევ იმ კრიტერიუმების ჩამოყალიბებამდე. შემდეგი საკითხი გახლდათ მერაბ კოსტავას ქუჩის მცხოვრებთა განცხადება ე. წ. ხდკ-ის ბინების წინ მდებარე სკვერისთვის მერაბ კოსტავას სახელის მინიჭების შესახებ.

კომისიის საერთო აზრი იყო, რომ მერაბ კოსტავას სახელის მინიჭება, რა თქმა უნდა, ყველა კრიტერიუმს დააკმაყოფილებს, მაგრამ კომისია თავის თავთან წინააღმდეგობაში რომ არ მოვიდეს, სჯობს, ჩამოვაყალიბოთ კრიტერიუმები და ეს კონკრეტული სახელდებაც მაშინ იქნას გადაწყვეტილი.

ამდენად, კომისია შეთანხმდა, რომ სხდომა გადაიდოს საკითხთა უკეთესად შესწავლის მიზნით და კომისიის ყველა წევრმა 18 მარტამდე თავისი მოსაზრება წარმოადგინოს. თუ როგორ იქნეს მინიჭებული სახელები ქუჩისთვის, მოედნისთვის, სკვერისთვის, პანთეონისთვის, ბიუსტის დადგმასთან დაკავშირებით, საპატიო სამტრედიელის წოდებისათვის".

იმავე დღეს შეიქმნა 5 კაციანი სამუშაო ჯგუფი, რომელიც წინასწარ განიხილავს შემოსული წინადადებებისა და დიდი ქალაქების კრიტერიუმების შეჯერების საკითხს, მომავალ სხდომაზე კომისიას მეტ-ნაკლებად მომზადებულს წარუდგენს.





# ბავშვთა აღზრდის პროცესში განათლება უნდა დაბრუნდეს

ხალხი, ვინც უნდა განახორციელოს. მიხარია, ამ პროექტის პრეზენტაციას რომ ვაკეთებ და ყველას გილოცავთ რეფორმის დაწყებას".



განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაურმა მადლობა გადაუხადა იმ ადამიანებს, რომლებსაც ამ ორი წლის განმავლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის ფორმირებაში: "დღევანდელი რეფორმა არ არის მარტო დღევანდელი საქმე. ჩვენ ამ რეფორმით ხმას ვაძლევთ მომავალს, როგორი მომავალი თაობა გვინდა გვყავდეს. მოგეხსენებათ, რომ ადრეული და სკოლამდელი განათლება არ არსებობდა დღემდე. ამ კანონპროექტით, ფაქტობრივად, არა მარტო სკოლამდელ განათლებაზე ვაკეთებთ აქცენტს, არამედ, ზოგადად, ადამიანის განვითარებაზე. არ არსებობს სასკოლო განათლება წარმატებული, თუ წინ მას არ უსწრებს ბავშვების წინაშე მზაობა. სკოლამდელი განათლების ფსიქოლოგების დასაბუთებით არის კრიტიკული. 5-დან 6 წლამდე ასაკის ადამიანის ტვინში ყალიბდება ყველაზე დიდი ნაწილი, რაც შემდგომში მის კოგნიტიურ უნარებს განაპირობებს. თუ ეს პერიოდი გამოტოვა მოზარდმა და ოჯახმა ხელი არ შეუწყო, მას სააზროვნო უნარები განუვითარდეს, ასეთ შემთხვევაში ძალიან დიდი ძალისხმევა და განსაკუთრებული ნიჭია საჭირო, საბაზო საფეხურზე დაეწიოს აზროვნებაში იმ ბავშვებს, ვინც მანამდე გაიარა ეს ეტაპი სწორად. ამიტომ ის, რომ 1986 წლიდან ოფიციალურად იქნა ამოღებული სახელმძღვანელოებიდან განათლების კომპონენტი, დარჩა მხოლოდ სააღმზრდელო კომპონენტი, რა თქმა უნდა, არ იყო სწორი გადაწყვეტილება. ეს დიდი გამოწვევაა განათლების სამინისტროს მიმართ. სწორედ ბაღის დონეზე უნდა დაინერგოს ეს სიახლე.

სასკოლო მზაობის სწავლების პილოტირება დაიწყო თბილისში. ეს არის მართლაც საამაყო, რომ პროგრამა აღმოჩნდა წარმატებული. 750 აქტივობას მოიცავს, რომელიც მასწავლებელმა უნდა განახორციელოს, გადამზადდნენ მასწავლებლები. მონიტორინგი ჰქონდა თბილისის ბაღებში და აღფრთოვანებული დავრჩი. პროგრამა უნდა დაინერგოს მთელი საქართველოს მასშტაბით. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბაზაზე გაჩნდა ახალი სტრუქტურული ერთეული, რომელსაც ჰქვია სკოლამდელი განათლების სამმართველო და რომლის ვალდებულებაა, საქართველოს საბავშვო ბაღებს დაეხმაროს მეთოდური მასალებით, რეკომენდაციებით, რესურსების მოძიებაში, იმუშაოს დონორ ორგანიზაციებთან, მოამზადოს ტრენინგმოდულები. ამ სამმართველოს აქვს ფუნქცია, გააძლიეროს სკოლამდელი განათლების კომპონენტი."

# "სამტრედიული ფასი" ძვირადღირებული ტილოსთვის

საკრებულოს ბოლო სხდომა სამხატვრო სკოლა-გალერეის ხარჯებზე თანხის დამატების საკითხზე საუბრით დაიწყო. მისი ბიუჯეტი 4 ათასი ლარით გაიზრდება. ეს თანხა გალერეას მხატვრული ტილოს შესაძენად დაემატა. "ეს პირველი შემთხვევაა გალერეის არსებობის ისტორიაში. 1987 წელს დაარსებულ ამ გალერეას, დღეს, მასში დაცული ტილოები საჩუქრად მხატვართა კავშირმა გადმოსცა. მას მერე მხატვრული ტილოს შეძენის პრეცედენტი არ გვქონია. ამჯერად ადგილობრივმა ხელისუფლებამ ასეთი ინიციატივა გამოიჩინა და მადლობა მათ ამისთვის." _ აღნიშნა გალერეის დირექტორმა ნინო ნინუამ.

შესაძენი ტილო კი დიდ ჯიხაიშელი მხატვრის, გივი ვაშაკიძის "ქალაქის გარეუბანი" გახლავთ, რომლის ფასიც გაცილებით დიდია, ვიდრე მას ადგილობრივი შესაძლებლობებით სთავაზობენ, მაგრამ მხატვარი, რომელიც წლებია საზღვარგარეთ ცხოვრობდა და ხანშიშესული მშობლიურ სოფელში დამკვიდრდა, ამ "სამტრედიულ ფასს" დაყაბულდა. "სამტრედიული ფასი" საკრებულოს იმ სხდომაზე ნათქვამი ფრაზაა, რადგან აღინიშნა, რომ ტილოს ღირებულება ექსპერტთა შეფასებით გაცილებით დიდია.

იქვე დაიბადა იდეა, რომელიც კარგა ხნის წინ უნდა განხორციელებულიყო. "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი, ზურაბ ზაქარიაძე გამოვიდა ინიციატივით, ამ ფორმით გალერეას აწ გარდაცვლილი მხატვრის, ჯემალ ტაბიძის ნამუშევრები შეეძინა. ალბათ, უპრიანი იქნებოდა, ამგვარი შეთავაზება და ინიციატივა მის სიცოცხლეში ჰქონოდა ჯემალ ტაბიძეს შესაბამის დაფასებასთან ერთად! მით უმეტეს, რომ რამდენიმე წლის წინ არაერთი წელი ხელისუფლებაში სწორედ ის პირები იყვნენ, დღეს ოპოზიციონერის ამპლუაში რომ არიან საკრებულოს წევრები და რომლებიც თანაგუნდელს ერთხმად დაეთანხმნენ. თუმცა, არა მარტო ჯემალ ტაბიძის, ზურა ზაქარიაძემ სხვა სამტრედიელ მხატვართა ნამუშევრების შეძენის სურვილიც გამოთქვა. როგორც აღნიშნა, "ამით მხატვარსაც დავეხმარებით და გალერეასაც კარგ შენაძენს გავუკეთებთ."

საკრებულოს წევრებმა აღიარეს, რომ შესაძლებლობის ფარგლებში სამომავლოდაც უნდა გაგრძელდეს ტილოების შეძენა, რადგან ეს საჭირო და საშური საქმეა.

თეა ბაბუნაშვილი

# "ჯანსაღი იმერეთი" "ძალიან დავარდნილი" ცხოვრების გასაჯანსაღებლად

თეა ბაბუნაშვილი

საუბარი იმ პროექტის ფარგლებში განხორციელებულ სამედიცინო შემოწმებაზე გვექნება, ეწრის თემში რომ ჩაუტარდა მოსახლეობას და მუნიციპალიტეტის გამგებელ ვალერი ფოცხვერიაზე არაფერს ვამბობთ, იმერეთის გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე რომ ჩამოიყვანა ქუთაისიდან დედულეთში.

ეს შაბათს, 20 თებერვალს მოხდა. ეწრის თემში, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის მხარდაჭერით, ქუთაისის დიმიტრი ნაზარიშვილის სახელობის "საოჯახო მედიცინის ცენტრის" მედპერსონალი გამოკვლევებისთვის იმყოფებოდა. ადგილობრივ მოსახლეობას კვალიფიციური სამედიცინო კონსულტაციები ჩაუტარეს და შესაბამისი დანიშნულებაც მისცეს.

მერაბ კვიცარიძემ, დიმიტრი ნაზარიშვილის ქუთაისის 'საოჯახო მედიცინის ცენტრის'' დირექტორმა, საუბარი ამ სამედიცინო დაწესებულების მიერ გაწეული ქველმოქმედებით დაიწყო. ცენტრი 17 ბავშვთა სახლს ეხმარება, პერიოდულად ატარებს უფასო გამოკვლევებს. ლტოლვილთა და განსახლების, აგრეთვე, ჯანდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, ლტოლვილებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებზე გარკვეული სერვისები უფასოა. პროექტი "ჯანსაღი იმერეთი" სწორედ მერაბ კვიცარიძის ინიციატივით შეიქმნა. იგი აღნიშნავს, რომ "ჩვენი კლინიკა პირველადი მედიცინის ერთ-ერთი, ზოგ მიმართულებაში კი ერთადერთი წამყვანი სამედიცინო დაწესებულებაა იმერეთში. ჩვენ პირველი და



მეორე დონის სამედიცინო მომსახურებას ვახორციელებთ, რაც ნიშნავს, რომ კლინიკაში შემოსული პაციენტი ყველა სახის მომსახურებას ადგილზე იღებს."

რაც შეეხება "ჯანსაღ იმერეთს", უფასო გამოკვლევები თავდაპირველად პერევში, შემდეგ სოფელ ფარცხანაყანევში, ამჯერად კი ეწერში ჩატარდა. ეს პირველი ეტაპია, ამიერიდან კი ადგილზე, ამბულატორიაში დადგმული კომპიუტერით ტელემედიცინის პროექტის ფარგლებში, პირდაპირ მიიღებენ ეწრიდან ქუთაისის ამ სამედიცინო ცენტრის ოჯახის ექიმებისგან კონსულტაციებს პაციენტები.

ეწერში ამბულატორიის შენობა რემონტს საჭიროებს. ამიტომ გადაწყვიტეს მისი თემის ადმინისტრაციულ ცენტრში გადმოტანა. ამისთვის შენობის პირველი სართულის რემონტი უახლოეს ხანში დაიწყება.

ეწრის თემში გამგებლის წარმომადგენელი რევაზ ივანიაძე და თემის მაჟორიტარი გრიგოლ დარჯანია აღნიშნავდნენ, რომ ამგვარი აქცია საჭირო და აუცილებელიც კი იყო მოსახლეობისთვის. ამას შეკრებილთა მრავალრიცხოვნებაც ადასტურებდა. არა მხოლოდ უფროსი თაობის ადამიანები, ახალგაზრდებიც გამოსაკვლევთა რიგებში იდგნენ.



ეწრელები კმაყოფილები გახლდნენ. თან ძალიან! "ჯერჯერობით, ყველაფერი კარგად გაქვს, ბევრი არ დალიო, არ მოწიოო, დამარიგეს. ეს მეც ვიცი, მაგრამ ექიმი რომ გეტყვის... გარდა ამისა, სხვა დარიგებებიც მომცეს."_ ზურაბ მეშველიანი ექიმთან ვიზიტის შემდეგ გვესაუბრა. ლუიზა იაგულაშვილიც კმაყოფილი გახლდათ იმდღევანდელი აქციით, მით უმეტეს, დაუდგინეს, რომ სრულიად ჯანმრთელია! თუ რამე მჭირს, მეტყვიან ალბათ, _ გვითხრა ოსიკო ჭანჭალეიშვილმა და შენობის მეორე სართულს მიაშურა აქციით კმაყოფილმა. "წელიწადში ორ-სამჯერ მაინც უნდა გვქონდეს ასეთი გამოკვლევები უფასოდ, თორემ ძალიან დავარდნილია ჩვენი ცხოვრება, ძალიან დავარდნილი! ერთი "ტაბლეტკი" წამალი რომ 50 თეთრი და ზოგიც მეტი ეღირება, რა ჰქვია ამას?!" _ ამ სიტყვების ავტორმა ვინაობა არ გაგვიმხილა. არადა, იქ მყოფი იმდენი დაეთანხმა, არ უნდა ცდებოდეს დასმულ რიტორიკულ შეკითხვაში.

ეს სხვა თემად მივიჩნიოთ და წერილი იმით დავასრულოთ, რომ ამ კარგ ინიციატივას გაგრძელება ექნება. მით უმეტეს, რომ კომპიუტერი უკვე დაიდგა ეწრის თემში, პირდაპირ კონსულტაციებით და სწორი დანიშნულებით კვალიფიციური მკურნალობა კი შედეგს აუცილებლად გამოიღებს!

# ნაზარიშვილის კლინიკა ჩვენს მუნიციპალიტეტში უფასო გამოკვლევებს განაგრძობს

ნათია ნაცვლიშვილი

ქუთაისის დიმიტრი ნაზარიშვილის სახელობის კლინიკის ექიმები ამჯერად უფასო გამოკვლევების ჩასატარებლად ეწრის საბავშვო ბაღს ეწვივნენ.

კლინიკის პედიატრთან ერთად საალმზრდელო დაწესებულებაში კლინიკის ხელმძღვანელი, მერაბ კვიცარიძეც დაგვიხვდა. მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ასევე ეწვივნენ საბავშვო ბაღს, სადაც უფასო სამედიცინო გამოკვლევები მიმდინარეობდა. ამ კლინიკის წარმომადგენელთა ეს უკვე მეორე ქველმოქმედების აქციაა, როგორც ბატონი მერაბი აცხადებს, იგი გაგრძელდება და საზოგადოების სხვა სეგმენტსაც მოიცავს.

ეწრის საბავშვო ბაღში 25 აღსაზრდელია, ბაღის მმართველმა დოდო მანჯგალაძემ კმაყოფილება გამოთქვა, რომ ბაღის პატარა აღსაზრდელებს დახმარება გაუწიეს და ხელისუფლების წარმომადგენლებისა და სამედიცინო პერსონალისადმი მადლიერება გამოხატეს. მისივე თქმით, ბაღი 90 ბავშვზეა გათვლილი, მაგრამ კონტინგენტის სიმცირის გამო აქ 25 ბავშვია. "პრობლემების წინაშე ვიდექით, მაგრამ დიდ დახმარებას გვიწევს როგორც სოფლის პროგრამა ასევე საალმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანება და პარტია "რესპუბლიკელები". ჰოლანდიიდან შესანიშნავი ინვენტარი მივიღეთ, ამჯერად ექიმებიც მოვიდნენ და დაგვპირდნენ, რომ ჩვენც გაგვიწევენ მომსახურებას. დიდი მზრუნველობაა ჩვენს მიმართ და მადლობა ყველას".

ვალერიანე ფოცხვერიას თქმით, ქუთაისის ნაზარიშვილის სახელობის კლინიკა საქართველოში ერთ-ერთი ცნობილია. "გამგებლების შეხვედრაზე იმერეთის გუბერნიაში ბატონმა მერაბმა გამოთქვა იდეა, აგვერჩია სოფლები, სადაც ის მიავლენდა ექიმებს და ჩაატარებდნენ უფასო სამედიცინო გამოკვლევებს. 1 კვირის წინ ისინი ეწვივნენ ეწერს, ახლა კი საბავშვო ბაღს ესტუმრნენ. არა მარტო ჩვენს, სხვა მუნიციპალიტეტსაც ეწვევიან ამ კლინიკის ექიმები სავსებით უსასყიდლოდ. დღეს ძალიან ბევრს ნიშნავს ასეთი დახმარება, სხვა კლინიკებიდან ჯერ მსგავსი შემოთავაზება არ გვქონია, გვისაყვედურა ბატონმა მერაბმა, რატომ არ ვაქტიურობდით გამგებლები, დავიწყეთ აქტიურობა და ახლა არ ვეშვებით"_ აღნიშნა ვალერიანე ფოცხვერიამ.

ქუთაისის დიმიტრი ნაზარიშვილ-



ის სახელობის საოჯახო მედიცინის ცენტრის დირექტორი, ზურაბ გორგილაძის პრემიის ლაურეატი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე _ ასე გაგვეცნო ბატონი მერაბ კვიცარიძე, რომელმაც ჩვენთან საუბარში განაცხადა: "ჩვენი კლინიკა საუკეთესოა, პირველი და მეორე დონის სრულ მომსახურებას ვახორციელებთ, რაც იმას გულისხმობს, რომ რომელიმე სპეციალისტისათვის მოქალაქე კლინიკიდან არ გადის. დავიწყეთ მეგობრობა თქვენს მუნიციპალიტეტთან.

**_ რატომ გამოარჩიეთ სხვა მუნიციპალიტეტებს შორის სამტრედია? აქაური ფესვების გამო?**

_ სამტრედიის გამორჩევას აქაური ფესვები არ სჭირდება. სამტრედიისთვის ნიკო ნიკოლაძეც კმარა. ეს იყო კაცი-სახელმწიფო. კაცი-სახელმწიფოს მუნიციპალიტეტში რომ ვარ, მიხარია. საპილოტედ ავირჩიეთ სოფელი ეწერი, ვახორციელებთ ტელემედიცინის პროექტს, ამ სოფლის ექიმი ქალბატონი ჩვენს კლინიკაში გადავამზადეთ, ეს ჩემი პირადი ინიციატივაა. ეს პროექტი მოიცავს შემდეგ მომსახურებას: ამ სოფლის ექიმთან მოსული ყველა პაციენტი, რომელსაც სპეციალისტების დახმარება სჭირდება, ონლაინ რეჟიმში დაუკავშირდება კლინიკას. პირველადი ჯანდაცვის ძირითადი პრიორიტეტებია: უწყვეტობა და ხარჯთეფექტურობა, ამის ნათელი





მაგალითი ის არის, რომ კლინიკაში მოუსვლელად პაციენტები მთელ რიგ სამედიცინო მომსახურებას მიიღებენ".

როგორც ბატონმა მერაბმა გვითხრა, მას, როგორც რუსთაველის საუკეთესო მცოდნეს და დამფასებელს, გადაწყვეტილი აქვს, განახორციელოს პროექტი "საქართველო წერს ვეფხისტყაოსანს". ამ პროექტში ჩართვას სამტრედიის მუნიციპალიტეტს სთავაზობს. "1669 სტროფია, პირველი სტროფი ჭაბუა ამირეჯიბმა დაწერა, დანარჩენს ყველა ქართველი დაწერს. ასევე დაწერენ ამ მუნიციპალიტეტიდან". _ ამბობს ბატონი მერაბი. მას ასევე ახალი იდეა დაებადა: ვინაიდან ეწრის თემის ადმინისტრაციული შენობის ეზოში დგას რუსთაველის ძეგლი, გადაწყვიტა იმერეთის გუბერნატორ გივი ჭიჭინაძესთან ერთად გვეწვიონ და ამ ძეგლის გაწმენდასა და მოვლაზე იზრუნონ. და კიდევ ერთი რამ, რაც ბატონმა მერაბმა ისურვა, რომ აუცილებლად ჩაგვეწერა ამ წერილში: "ჩემი მეგობარი და კურსელია მერაბ ჯანელიძე. რომელიც საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი ქირურგია, ის ძალიან მოკრძალებული კაცია, მის მოკრძალებას, წესიერებას პატივს ვცემ, მის ყველა წინგადადგმულ ნაბიჯს თვალ-ყურს ვადევნებ. მუდმივად უცხოეთში ეუფლება განათლებას, განვითარებადი ადამიანია. ძალიან მიხარია, რომ ეს ადამიანი ჩემი მეგობარია".

რევაზ ივანიაძე, გამგებლის წარმომადგენელი ეწრის თემში: "როგორც კი მივიღეთ ინფორმაცია, კლინიკა ჩვენს სოფელში საქველმოქმედო აქციას ჩაატარებდა, ვეწვიეთ ბატონ მერაბს, ვესაუბრეთ და შევთანხმდით, რა მოსამზადებელი სამუშაოები უნდა გაგვეწია, სხვათა შორის, ეს იქნება არა ერთჯერადი დახმარება, ნაზარიშვილის კლინიკა შეფობას გაუწევს ეწრის საბავშვო ბაღს თავისი შესაძლებლობის ფარგლებში. პლუს ამას, ამ კლინიკასთან ვთანამშრომლობთ, ეწრიდან ონლაინ სამედიცინო მომსახურებას მიიღებს ნებისმიერი ავადმყოფი. ამისათვის მოვემზადეთ, მუნიციპალიტეტის გამგებლის დახმარებით ადმინისტრაციულ შენობაში დავდგით კომპიუტერი, გვაქვს ინტერნეტი, სულ ცოტა ხანში ეს პროექტიც განხორციელდება".

# წიგნების საჯაროდ კითხვის დღე დაუწესეს

ნათია ნაცვლიშვილი

ქვეყანაში, სადაც რესტორნები წიგნის მაღაზიებზე მეტია, წიგნმა აშკარად დაჰკარგა ფუნქცია. სწორედ წიგნის როლის გაძლიერების, წიგნის კითხვის კულტურის ამაღლების მიზნით წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ინიციატივით, საქართველოში პირველად 24 თებერვალს წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე აღინიშნა. მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაც შეუერთდა ამ თარიღს. მიუხედავად იმისა, ამ დაწესებულებაში ყოველი დღე წიგნის კითხვისაა, ის დღე მართლაც გამორჩეული იყო.







აუდიტორია _ არც ისე დიდი, მაგრამ ძალზე აკადემიური. რაც განსაკუთრებით სასიხარულოა, აქტიურობდნენ ახალგაზრდები. ყველა თაობის წარმომადგენელმა საკუთარი გემოვნებით შერჩეული ლიტერატურული ტექსტი წაიკითხა, აშკარად შეიგრძნობოდა თანამედროვე პოეტებისეული ლექსის კითხვის მანერით გატაცება, რაც ნამდვილად არ არის ცუდი. მთავარი ისაა, იკითხონ და შეიმეცნონ მეტი, ჩასწვდნენ წიგნის, როგორც უდიდესი საუნჯის არსს და მნიშვნელობას. იმ დღეს დარბაზში აშკარად ბრძანებლობდა მისი უდიდებულესობა ქართული ლექსი.

ღონისძიება ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ, მზია ჩიხლაძემ გახსნა და თავად წაიკითხა რამდენიმე პოეტური მარგალიტი, მას მე-11 საჯარო სკოლის მოსწავლეებიც აჰყვნენ. მარიამ და მანანა კუტალაძემ, ელენე ბოხუამ, ელენე კიწმარიშვილმა ასევე ქართულ პოეზიის ნიმუშები წაიკითხეს. ვინაიდან საქალაქო ბიბლიოთეკა ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარეობს, ბიბლიოთეკარმა მარიკა ადეიშვილმა წაიკითხა ნაწყვეტი თემურ ჯულაყიძის წიგნიდან "ზეცავ, სიკეთე ჩვენს საქართველოს", სადაც აგვისტოს ომის გმირების ხსოვნაა უკვდავყოფილი. კულაშის სადაბო ბიბლიოთეკის წარმომადგენლებმა ნათია მანჯგალაძემ და მაკა თევზაძემ ნოდარ დუმბაძის შესანიშნავი ნაწარმოებებიდან გაუხუნარი პასაჟები მოიყვანეს. "სამტრედიის მაცნეს" მთავარმა რედაქტორმა ქეთევან ჭელიძემ გამოსვლისას აღნიშნა: "ღმერთმა ნუ ქნას, ცოტანი ვიყოთ წიგნის მკითხველები და ლიტერატურის მოყვარულნი, ყველანი იცნობთ ნოდარ ადეიშვილს, ის იყო საქვეყნოდ ცნობილი პოეტი, ცხოვრობდა ნინოშვილის უბანში, ჩვენი ქვეყნის ჭირისუფალი და ღირსეული პიროვნება, ამიტომ ნოდარ ადეიშვილის ლექსებს წავიკითხავთ".

"ბიბლიოთეკაში ყოველი დღე, წუთი და საათი წიგნის კითხვისაა, მაგრამ მაინც სასიხარულოა ასეთი თარიღის დაწესება". _ აღნიშნა სამკითხველო დარბაზის მთავარმა ბიბლიოთეკარმა რუსუდან კახიანმა და შოთა ნიშნიანიძის შესანიშნავი ლექსი წაიკითხა.

ჩხენიშის საჯარო სკოლის მოსწავლემ, მერი კიკაბიძემ დავით გურამიშვილის უკვდავი სტროფები წაიკითხა: "ვაი, რა კარგი საჩინო"...

მე-11 საჯარო სკოლელმა ლუკა კანდელაკმა თანამედროვე პოეტის, ზურა სალუქვაძის ლექსით მოხიბლა აუდიტორია, ლუკა ზელინსკიმ კი, ანა კალანდაძის ლექსით.

შეუდარებელი დეკლამატორი იყო ფილოლოგი ნინო ტონია, მან წაიკითხა გივი გეგეჭკორის "ვინ იდგამს თავზე ეკლის გვირგვინს". ჩვენმა კოლეგამ და მხატვარ-კარიკატურისტმა შოთა პაპავამ სამტრედიელი პოეტის, ბაჩუკი ჩაბრაძის შესანიშნავი ლექსები წაიკითხა, ასევე მხატვრისა და სახალხო მთქმელის, გივი ფრანგიშვილის ლექსები. გივი ფრანგიშვილი საკუთარი ლექსებითაც წარსდგა აუდიტორიის წინაშე. მე-9 საჯარო სკოლის მოსწავლე თიკო მიქელაძემ მიხეილ ქვლივიძის ლექსები წაიკითხა.

ასე დასრულდა ლამაზი დღე, დარბაზში უამრავი შინაარსიანი ტექსტის გაჟღერებით, უამრავი საფიქრალის აშლითა და სულში ღრმად აღბეჭდილი ფრაზების კიდევ ერთხელ გაჟღერებით...

## კარგი აღზრდისა და ერთგულების გამო



სამტრედიას არაერთი წარმატებული ბავშვი ჰყავს. მათ შორისაა თედო კრავეიშვილი. იგი სამტრედიის დომენტი შანიძის სახელობის № 1 სახელოვნებო სკოლის საესტრადო განყოფილების მოსწავლეა. თედო ფანდურზე უკრავს. ის ასევე, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლ "ბერიკას" წევრია. თედო აქტიურად ღებულობს მონაწილეობას სამუსიკო სკოლისა თუ მუნიციპალიტეტის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში. მიღებული აქვს დიპლომები.

პატარა შემსრულებელი საყმაწვილო ფესტივალ "დელფიადა 2014"-ის გრან-პრის მფლობელიცაა. მას ფესტივალზე "მომავლის ვარსკვლავი 2013" საუკეთესო საშემსრულებლო ოსტატობისთვის ლაურეატის წოდება მიენიჭა. ლაურეატი გახდა იგი სამტრედიაში გამართულ ფოლკლორის ფესტივალზე "გვიმღერია, კვალავაც ვიმღერთ". თედო კრავეიშვილი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებულ ანსამბლ "ორუდილას" სოლისტიცაა.

პატარა მუსიკოსს ჯერ კიდევ არა აქვს არჩეული პროფესია, თუმცა მისი მიზანი კარგად სწავლაა, მიიღოს შესაფერისი განათლება და მუსიკალურ ხელოვნებაშიც თქვას თავისი სიტყვა.

თედო თავისუფალ დროს ხატვას უთმობს. ასევე, უსმენს მისთვის საყვარელ მომღერლებს, ანრი ჯოხაძეს, ნოდიკო ტატიშვილსა და სხვებს.

მორიდებული ბიჭი უყვართ თავისი კარგი აღზრდისა და ერთგულების გამო. მას კი ძალიან უყვარს თავის ქალაქი სამტრედია.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ 13 წლისაა, კარგად აქვს გათვითცნობიერებული, რომ მისი მომავალი მის სწავლასა და შრომაზეა დამოკიდებული, რისთვისაც ყოველთვის მზად არის. დასძენს, რომ ამისთვის ძალას არ დაიშურებს.

ნათია თოთლაძე

# რკინიგზელთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე

დღეს არ მოიძებნება სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგი, სადაც ქალს თავისი წვლილი არ შეჰქონდეს. არც ისე იოლია ერთმანეთს უნარიანად შეუსაბამო საოჯახო და საზოგადოებრივი საქმიანობა, მაგრამ, როცა ყოველივე ჰარმონიულადაა შეხამებული, საზოგადოებას ისღა დარჩენია, კუთვნილი მიუზღვას ასეთ თავდადებას და შრომისმოყვარეობას, ღირსეულად დაუფასოს დედის, მშობლის, საზოგადო მოღვაწის საქმიანობა. ასეთ ქალთა რიცხს მიეკუთვნება მშვიდი, დინჯი ქალბატონი რკინიგზის სამედიცინო ცენტრის კარდიოლოგი, მთავარი ექიმის მოადგილე ექსპერტიზის დარგში, ირინა დოკაძე. გაიცნობთ და იგრძნობთ თქვენს წინაშე დგას ნამდვილი მკურნალი, რომელმაც ცხოვრებისეული გზა შინაარსიანად, სამაგალითოდ განვლო. იგი ცხინვალში დაიბადა, მეოთხე საშუალო სკოლა მედალზე დაამთავრა. პროფესიის არჩევაში დიდი როლი შეასრულა დედამ, რომელიც ექთნად მუშაობდა, მისი რჩევით სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხა. 1980 წელს წარჩინებით დაამთავრა და განაწილებით სამტრედიის ხის დამმუშავებელ კომბინატში ჯანმრთელობის დაცვის პუნქტის თერაპევტად იწყებს მუშაობას. ექიმობა დიდი ხელოვნებაა, ადრიდანვე ეზიარა ის ამ ხელოვნების სიყვარულს, ექიმის მოვალეობა სხვებთან შედარებით უპირატესია, ამიტომ თვლიან დღეს ირინა დოკაძეს ერთ-ერთ გამორჩეულ და ღირსეულ ექიმად. იგი ხომ 30 წელზე მეტია ემსახურება ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს. ყოველ დილით ენერგიულად და ხალისიანად მიიჩქარის რკინიგზის საავადმყოფოსკენ. საპატიო და საპასუხისმგებლო ტვირთს სიამოვნებით, უდიდესი სიყვარულით ატარებს, უყვართ და დიდად აფასებენ რკინიგზელები მის შრომას, იმიტომ, რომ ის მკლავმოუღლელად ემსახურება რკინიგზელთა ჯანმრთელობას. სიამოვნებით გადასცემს ახალგაზრდებს თავის მდიდარ გამოცდილებას და ბრწყინვალე თეორიულ მომზადებას, რასაც ასე კარგად იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

ქალბატონი ირინა ორი შვილის და სამი შვილიშვილის დედა და ბებიაა. ვაჟიშვილი _ დავით ჩიქოვანი "პრივატბანკის" თანამშრომელია.

ქალბატონ ირინასთან ერთად რკინიგზელთა ჯანმრთელობას ემსახურებიან ექიმები: ნანა ცირეკიძე, დარეჯან ნინიძე, მარინა ფოფხაძე, მაგული წვერავა, ოლია ბერძენიშვილი და სხვები.

არ შეიძლება მათთან ერთად არ დავასახელოთ რკინიგზის დასავლეთ რეგიონის საწარმოების _ სალოკომოტივო, სავაგონო, სალიანდაგო, სადგურ სამტრედიის, ელექტროფიკაციის, კავშირგაბმულობის, სატელეკომუნიკაციო, ელექტროსამონტაჟო სამმართველოებში მომუშავე ქალბატონები: ნინო ყუბანეიშვილი, მანანა ნადირაძე, ციალა, ფატიმა, ნინო, ნანა, ლიანა კოპალეიშვილი, მადონა ხაბეიშვილი, ლიანა დუნდუა, ნანი ანდრელიანი, ირმა ჩხიკვაძე, მანანა გეგეშიძე, სესილია დუნდუა, ნარგიზა ტონია, ლიანა კიკაჩეიშვილი, ლამარა ქალდანი, მზია სულაქველიძე, მაია ბაკურაძე, ქეთევან შილაკაძე, ლარისა ჩორგოლაშვილი, მანონი მიქაძე, ციცინო ღაღანიძე, ციცინო კაკულია, გიული ბანძავა, მანანა ხარჩილავა, ლიდა თადუმაძე, მანანა გაგუა, ლეილა მარჯანიშვილი, მედეა გეგია, ლუბა სიმიონელი, დარეჯან გვანცელაძე, ლუიზა მუქერია, ეთერ ბარამიძე და სხვები.

ვულოცავთ მათ დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეს, ვუსურვებთ ხანგრძლივ ცხოვრებას, ბედნიერებას და სიყვარულს!

რევაზ შამათავა

# ხელოვნების რანგში აყვანილი კულინარია



ნათია ნაცვლიშვილი

***უკიდეგანო ექსპერიმენტების და პროგრესის ეპოქამ დიზაინსა და კულინარიაშიც გადატრიალება მოახდინა. უსულო საკვებს შეიძლება ლამის სული ჩაუდგა! ქალბატონის, მარინე ფხაკაძის თითებს შეუძლიათ ბისკვიტთან კრემისა და მარციპანის შეზავების წყალობით ულამაზესი, ხელოვნების რანგში აყვანილი ნამცხვარი – ტორტი შექმნან. ამ ჯადოსნურ ხელობა ქალბატონს შეუძლია, ტორტს ხან ჩოხა ჩააცვას, ხან – სმოკინგი, ხანაც შვილის პატივსაცემად – თეთრი ხალათი, მას შეუძლია, ნებისმიერი კლიენტის ავანტიურისტულ ჩანაფიქრს შეასხას ფრთები და ტორტი მშვენებად და შედევრად აქციოს. ასეთი მრავალფეროვანი შეკვეთების მენიუთი აკითხავენ კლიენტები და ისიც სიამოვნებით იხსენებს, რამდენი საინტერესო და სახალისო ფორმისა და სტილის ტორტი გამოუცხვია და მოურთავ მოუკაზმავს. არაფერს ვამბობთ სადედოფლო ტორტებზე, თითოეული მათგანი მისი ამოუწურავი ფანტაზიის წყალობაა...***

სულ ახლახან ჩვენს მუნიციპალიტეტში საუკეთესო მოჭადრაკეს, მერი არაბიძეს შეხვედრა რომ მოუწყვეს, სუფრას მარინე ფხაკაძისეული ტორტიც ამშვენებდა, სწორედ იმ საჭადრაკო სვლით, რომლითაც მოჭადრაკემ მოიგო. ახლახან ინტელექტუალთა ნაკრები გუნდის წევრს, ლაშა ლორიას მეგობრებმა საჩუქრად ქალბატონი მარინას გამომცხვარი "ბუს" ფორმის ტორტი მორთეს. ასეთი ამბების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ამ საინტერესო საქმიანობას ჩვენი რესპონდენტი, პედაგოგი მარინა ფხაკაძე რამდენიმე წელია ეწევა. ის მე-2 საჯარო სკოლაში ხაზვასა და ხელოვნებას ასწავლის. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ამ ლამაზი კულინარიული ქმნილებების ავტორი ქალბატონი პროფესიით ინჟინერია. ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის (ყოფილი გპი) მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი დაამთავრა. ბავშვობიდან უყვარდა ხატვა, ხატავდა შესანიშნავად, უამრავ წრეზე დადიოდა: იყო ნორჩ ტექნიკოსთა სახლთან არსებული სამხატვრო სკოლის მოსწავლე, უვლია ხაზვისა და ქსოვის წრეებზე, უცდია ხეზე კვეთაც, სურდა ფოტოხელოვნებას დაუფლებოდა, მაგრამ რადგან მამამ უსაყვედურა, შენ ასე სწ-




ავლას თავს დაანებებო, თანდათან ზოგიერთ წრეს ეტაპობრივად ჩამოშორდა. მოსწავლეობისას წერდა ლექსებს, ჩანახატებს, თუმცა მათ მხოლოდ ქართულის პედაგოგს უკითხავდა. ქუთაისელი გოგონა მე-3 კურსზე იყო, თავისი ცხოვრება სამტრედიელ თემურ დვალიშვილს რომ დაუკავშირა. მე-2 საჯარო სკოლაში ჯერ ხატვის, შემდეგ კი ხაზვის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. წუხს იმაზე, რომ ხაზვა სკოლაში არჩევითი საგანია. "ქვეყანაში, სადაც უნდა აღმშენებლობა მიმდინარეობდეს, რატომ უნდა იყოს ხაზვა არჩევითი საგანი? კითხულობს ქალბატონი მარინე. ის სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს ძალზე თბილად ახასიათებს და ამბობს, რომ აქ ძალიან ნიჭიერი პედაგოგები ასწავლიან, რომელთაც საუკეთესო მეგობრობა აკავშირებთ როგორც ერთმანეთთან, ისე მოსწავლეებთან.



დაახლოებით 20 წლის წინ ახლობლებმა და მეგობრებმა, რომელთაც ხშირად უმასპინძლდებოდა მისივე გამომცხვარი ნამცხვრებით, შეაგულიანეს და ურჩიეს, მიეღო შეკვეთები. ასე დაიწყო და... უკვე მისი ტორტების ფოტოგამოფენას 20 წლის ისტორია აქვს. ქალბატონი მარინე კლიენტს თვალებში შესციცინებს, მოეწონა თუ არა მისი ნახელავი, უმთავრესი მისთვის ისაა, კმაყოფილი ჰყავდეს ყველა მათგანი. თითოეულ ტორტზე მუშაობა მისგან გამოცდის ჩაბარების ტოლფას ნერვიულობას და ემოციას ითხოვს. უხარია, რომ კლიენტი მუდამ კმაყოფილი ჰყავს. სიახლეებს რომ არ ჩამორჩეს, ცოდნას ინტერნეტით ილრმავებს, მუშაობს მარციპანითა და აისინგით, ტორტის აპლიკაციებზე მუშაობა მას უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. ახლახან ერთ-ერთმა ბანკმა მას შესთავაზა, გამხდარიყო მათი სახე, ბანერი კი ქალაქის ცენტრალურ ადგილას განთავსდებოდა, რაზეც ქალბატონმა მარინემ უარი თქვა. მისი ტორტები დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ძალზე პოპულარულია, დედაქალაქშიც არაერთხელ სთხოვეს, წასულიყო და მოემზადებინა ისინი, გაუკეთებია ნებისმიერი ზომისა და ფორმის სადედოფლო ტორტები. დასძენს იმასაც, რომ დედისგან გენეტიკურად გამოჰყვა ცხობისა და სილამაზის აღქმის ნიჭი.





ყველაზე ტკბილი თემა კულინარი ქალბატონისთვის მაინც შვილებია. ის ორი ვაჟის დედაა. ერთი მათგან მენეჯერია და მანქანები მისი ჰობია, დედაც შესაფერისი თემატიკის ტორტებს უცხობს საიუბილეო დღეებში, უმცროსი – ექიმია და მისთვის განკუთვნილ ტორტს ექიმის ხალათის ფორმას აძლევს. ერთი პატარა ნიუანსიც უნდა ვაცნობოთ მკითხველს: თუ ქუთაისში მსგავს ტორტს 600 ლარად შეიძენთ, ქალბატონ მარინასთან ის 350 ლარად შეგიძლიათ შეიძინოთ.

ქალთა დღესასწაულები, 3 მარტი და 8 მარტი ახლოვდება და ჩვენს წერილს მანდილოსნებისადმი მოლოცვით დავასრულებთ, ჩვენი სუსტი და მაინც ძლიერი სქესისადმი პატივისცემის გამოხატვით, ვულოცავთ ყველას განურჩევლად, როგორი კულინარები, როგორი ინტელექტუალებიც და პროფესიონალებიც არ უნდა იყვნენ ისინი, განსაკუთრებულად კი იმ საქართველოდან გადახვეწილ, ე. წ. "სკაიპის დედებს" მივულოცავთ, შვილების ოჯახების სარჩენად თავი რომ გაუწირავთ... ჩვენს რესპონდენტს, კი ულამაზეს და კეთილშობილ ქალბატონს, ვუსურვებთ კიდევ არაერთი ტორტი-შედევრი შეექმნას.

## ბაღნარეთი!

***(ჩემი ოცნება)***

გომმუხაყრუა!.. რამ დაგაყრუა?
მოჩანს დობირო!..
ბაღნარეთია წყალიპირზემოთ,
ჩემო ძმობილო!..
იქ ბაირაღი, აქეთ კორტოხი,
შუაში მთათგული,
ჩვენს ბავშვობაში სწორედ აქ გვაქვს
ფეხი ადგმული!..
ბაირაღიდან გადმომსკდარა ეს კაპიტონა,
ხედავ, რიონო,
ლამის, თავი შენც გაგიტოლა!
ბავშვობის ქოხი დარჩენილა
ისევ ზღაპრებში,
ბიძის საფლავი აჩურჩულდა
იქვე, დაფნებში!
სანახეთიდან გადავჰყურებ რიონნაპირებს,
ღრუბლები ფარავს, გაავდრებას, ალბათ, აპირებს,
კვლავ ისევ მოჩანს ჩვენს გორაკზე
საყდარი წმინდა,
იქ უსაფლავოდ ჩემი ძმაა... ვერ სძლია ბინდმა.
საფლავი თუნდაც დაიკარგოს! – ჩემს თავს ვუთხარი,
აწ, სულთა ჩვენთა მფარველია მხსნელი უფალი.
"გომი", "გომური" შენ სახელად აღარ შეგფერის,
რადგან, სოფელო, ცის სილაჟვარდის დაგკრავს ელფერი!
მხოლოდ შინაურ ცხოველების არ ხარ სადგომი
ბაღნარეთია! –შემოგძახებს ირგვლივ მთა-გორი!
გომმუხაყრუა, გარქმევ ბაღნარეთს! რადგან გიხდება,
ჟამი დადგება, ეს ოცნებაც მე ამიხდება,
იქ ბაირაღი, შუაში მთათგული, აქეთ დობირო!
ბაღნარეთია, ბაღნარეთი! ჩემო ძმობილო!

***თემურ ჯულაყიძე***

## ჩას ინვევს ღამით მესიჯობა

ბევრი მოზარდი ტელეფონის გარეშე დასაძინებლად არ წვება, მიმოწერით ერთობა და ხშირად ღამით გვიან იძინებს, რაც აკადემიურ მოსწრებაზე ცუდად მოქმედებს.

კვლევებმა აჩვენა, რომ თანამედროვე მოზარდები 8-დან 18 წლამდე, ყოველდღიურად გაჯეტებს თითქმის 7,5 საათს უთმობენ. გაჯეტის ეკრანიდან წამოსული ცისფერი შუქი სიბნელეში ძლიერდება და ანელებს ჰორმონ მელატონინის (ეპიფიზის მთავარი ჰორმონი, ცირკადული რითმის მარეგულირებელი. უძილობის დროს "ბიოლოგიური საათის" კორექტირებისთვის მას აბების სახით მიიღებენ.) გამოყოფას, რის გამოც ადამიანი დიდხანს ვერ იძინებს, თვალების დახუჭვაც ვერ იცავს ამგვარი შუქის ნეგატიური მოქმედებისგან. შუქის ჩაქრობის შემდეგ, ძილი თანდათანობით გვერევა. თუ ადამიანები განაგრძობენ ტექსტური შეტყობინებების მიღებას, მათი ცირკადული რითმი ირღვევა.



სწრაფი დაძინების ფაზა მოზარდების მეხსიერების, სწავლისა და სოციალიზაციისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. გაჯეტების გამო იგი მცირდება, რაც ნეგატიურად აისახება აკადემიურ მოსწრებაზე. ამიტომ, მეცნიერები მასწავლებლებს მოუწოდებენ, მოსწავლეებს მეტი ელაპარაკონ ძილის მნიშვნელობაზე.

მელატონინის შემცირებას, გარდა ძილის დარღვევისა, შესაძლოა წონის მატება და მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტი მოჰყვეს, ხოლო სინათლის ხანგრძლივმა ზემოქმედებამ და ძილის ქრონიკულმა დარღვევამ გამორიცხული არ არის, სარძევე ჯირკვლის კიბოც კი გამოიწვიოს. მართალია, მეცნიერები ნეგატიურ ეფექტებს მობილურ ტელეფონებსა და პლანშეტურ კომპიუტერებზე ამოწმებენ, მაგრამ არსებობს ვარაუდი, რომ ძილის დარღვევები შეიძლება გამოიწვიოს ნებისმიერმა სხვა გაჯეტმაც, რომელსაც ეკრანის უკანამხრივი განათება აქვს.

## სასკოლო სპორტული ოლიმპიადა გრძელდება

2016 წლის 23 თებერვალს ქალაქის № 11 საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული პირველი ეტაპის სარაიონო შეჯიბრება ჩატარდა ფრენბურთი. მასში სამტრედიის საჯარო სკოლების 2000, 2001 და 2002 წლებში დაბადებულ ვაჟთა გუნდები მონაწილეობდნენ, კერძოდ, № 1, № 2, № 11, ტოლების, ღანირის და კორმაღლის საჯარო სკოლების ექვსი გუნდი. შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით წარიმართა. თითოეული შეხვედრა 3 პარტიისგან შედგებოდა. პირველ შეხვედრაში ღანირის საჯარო სკოლამ 2 : 0 დაამარცხა ტოლების საჯარო სკოლის გუნდი, № 1-მა საჯარო სკოლამ 2 : 0 გაიმარჯვა № 2 საჯარო სკოლის გუნდზე და ასე შემდეგ. ფინალში ერთმანეთს კორმაღლისა და № 11 საჯარო სკოლების გუნდები დაუპირისპირდნენ, პირველი პარტია 25 : 19 № 11 საჯარო სკოლის ფრენბურთელებმა მოიგეს, ხოლო მომდევნო პარტიაში კორმაღლის საჯარო სკოლის გუნდმა 25 : 20 და 17 :15 გაიმარჯვეს და სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პირველი ეტაპის სარაიონო შეჯიბრების პირველი ადგილების მფლობელებიც გახდნენ. მეორე ადგილზე № 11 და მესამეზე ღანირის საჯარო სკოლების გუნდები გავიდნენ. საპრიზო ადგილებზე გასული სკოლების გუნდები დაჯილდოვდნენ კომპლექსური სპორტული სკოლის შესაბამისი ხარისხის სიგელებით.

**რამაზ თელია**

## ამბავნარი

პაპიროსის კვამლის გასაწმენდად ფილტრებს ინდიელები ჯერ კიდევ ათასი წლის წინ იყენებდნენ. ისინი ჩალის დიდ ღეროებში ერთი მხრიდან თუთუნს ტენიდნენ, მეორე მხრიდან კი ბამბას.

***

ერთხელ ძალზე საჩქარო საქმის დროს ვიქტორ ჰიუგომ, იმისათვის რომ სამუშაოდან მოწყვეტის საშუალება წართმეოდა ნახევრად გაიკრიჭა თმა და წვერი, ხოლო მაკრატელი ღია ფანჯარაში მოისროლა. ამგვარად, მას აღარ შეეძლო სახლიდან გამოსვლა მანამ, სანამ თმა და წვერი არ წამოეზრდებოდა, რის გამოც საშუალება მიეცა სამუშაო გათვალისწინებულ ვადაში დაესრულებინა.

***

1979 წელს ბერლინში გაიხსნა წიგნის მაღაზია, სადაც მხოლოდ ის წიგნები იყიდება, რომლებიც ქალების დაწერილია, ქალებს ეხება, ან ქალებისთვისაა განკუთვნილი. მაღაზიასთან არის კაფე, ისიც მხოლოდ ქალებისთვის.

***

ანტარქტიდა ერთადერთი მატერიკია, სადაც არ არის მდინარე.

***

ინგლისელი ლორდი ჯონ სენდვიჩი (1718-1798) რომელიც ბანქოს თავგამოდებული მოთამაშე იყო, დრო რომ არ დაკარგვოდა ჭამაზე და ხელები არ დასვროდა ორ ნაჭერ პურს შუა დებდა ძეხვს, ლორს ან ყველს და ისე მიირთმევდა. აქედანაა მიღებული ესოდენ პოპულარული სენდვიჩი.

***

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონელებმა შეცვალეს კვების რაციონი და სიმაღლეში 15 სანტიმეტრი მოიმატეს.

***

ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში მეტრონომები აკონტროლებდნენ აწონვისა და გაზომვის პროცესებს.

***

კოლიზეუმის არენის ცენტრალური ნაწილი იმდაგვარად იყო მოწყობილი, რომ შეიძლებოდა მისი წყლით ავსება, წყალში ბრძოლების სანახავად.

***

ტიბეტელები მანძილის გასაზომად იყენებდნენ ''გზის იმ ნაწილს'', რომელზედაც ცხელი ჩაი ისე გრილდებოდა, რომ შესაძლებელი იყო მისი დალევა.

***

ამერიკული ''ყვითელი პრესის'' მეფე მილიარდერი ჰესტი ასე მოძღვრავდა ჟურნალისტებს: ''თუ ძაღლი უკბენს როკფელერს ეს არ არის სენსაცია, სენსაციაა, როცა როკფელერი უკბენს ძაღლს.

**შეკრიბა ლევან გაბეჩავა**

## რატომ არ შეიძლება დიდი ზომის ბოკალით ალკოჰოლის დალევა

ფსიქოლოგები გვირჩევენ არ დავლიოთ ალკოჰოლური სასმელი დიდი ზომის ბოკლით. კემბრიჯის უნივერსიტეტის მკვლევარებმა გამოარკვიეს, რაზეა დამოკიდებული მიღებული ღვინისა და შამპანურის მოცულობა. როგორც აღმოჩნდა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბოკალი. რაც უფრო დიდია სასმისი, მით მეტია სპირტიანი სასმელის უზომო მოხმარების რისკი.

დიდი ბოკალი ქმნის არასრულად შევსებულის შთაბეჭდილებას, რაც ადამიანს კონტროლის დაკარგვის შიშის გარეშე, სასმელის დამატებისკენ უბიძგებს.

ანალოგიური სქემა მოქმედებს საჭმელთან დაკავშირებითაც. დიდი თეფში ადამიანს ნაყროვანებისკენ უბიძგებს. საკვების მცირე ულუფით სრულად შევსებული პატარა თეფში, დანაყრების ალბათობას ზრდის.



## ''მე ტერენტი გრანელის ბედი გავიზიარე''

**ნათია ნაცვლიშვილი**

***ამ ულამაზესი სოფლის ხიბლი ისიცაა, რომ აქ წიგნივით იშლება მთები, ისინი ზამთარში თოვლმოხვეული გოლიათებივით დგანან, გაზაფხულზე მწვანედ აიყვავილებენ გულ-მკერდს, წელიწადის რომელ დროსაც არ უნდა დაადგათ ფეხი სოფელ წიაღუბანში (ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველაზე მაღალ სოფელში), ბუნება მაინც მოგაჯადოვებთ.***

***გაჯადოვებენ აქაურებიც თავიისი გულწრფელობით, სიალალით, სისუფთავით, იმერული _ მობრძანდით, თქვენი ჭირიმეთი! და საგულდაგულოდ შენთვის ნაკვერჩხლიდან ამოღებული სურნელმდინარე მჭადითა თუ დაბრაწული ხაჭაპურით...***

ოფიციალური ჟურნალისტური მივლინების დროს რომან თევზაძის ოჯახია ჩვენი მასპინძელი. უცებ ოჯახის უფროსმა წიგნი აიღო ხელში და სულისშემძვრელად წაიკითხა ტერენტი გრანელის მოტივებზე დაწერილი ლექსი. ბატონმა რომანმა ლექსის ავტორის, ნაადრევად ტრაგიკულად დაღუპული მისი ვაჟიშვილის, კახას შესახებაც გვიამბო.

34 წლის უნიჭიერესი პოეტის, კახა თევზაძის ლექსები მისი გარდაცვალების შემდეგ ერთ წიგნად შეიკრა. წიგნის გამოცემაში ოჯახს სოფლის მკვიდრი, ღირსეული პიროვნება ოლეგ ნიკოლეიშვილი დაეხმარა.

ამ წიგნის წამკითხველს მონუსხავს ავტორის ტრაგიკული ბედისწერა, მის ყველა ლექსს რომ ღრუბელივით ასდევნებია ''ანგელოზი თუ მოვა, დავუჩოქებ მუხლებით, ვიცი, ამგვარ სიცოცხლეს შენც სიკვდილი გერჩია, რა იქნება მენახა მხარე სადმე ნეტარი, პოეზიის აკვანი მეც რომ გადამეწია. დამშვიდდება ეს გული? მოვა წამი დიდების? მიყვარს შენი სიცოცხლე, შენი ბედი მინდება, გაზაფხული დადგება, ისევ მოვა საღამო, ხიდან ხეზე ბელურა ისევ გადაფრინდება''...

ტერენტის სულთან თანაზიარობს ამ ლექსების ავტორი, მასაც აწვალებს ფიქრებში შემოჭრილი ქარის მუსიკა, მერე შერითმულ აკორდებად რომ დალაგდა და ქაღალდზე უნაზეს, პესიმისტურ მელოდიად გადმოიღვარა. ''სულში სიმები ტანჯვით აშლილი'' ავი ბედისწერის წყალობით გაწყდნენ... და ნაადრევად ჩაინავლა მისი მქუხარე სიცოცხლე, ზღვაში ცრემლად ჩაიღვარა ''მზე დამავალი''. აპრილი პოეტური მუზების აფერადების პერიოდიცაა, კახა თევზაძის საპირველაპრილო ლექსში კი სულისშემძვრელი ტკივილი იღვრება: ''სილამაზის კარი მახინჯია, მას ბოროტი ყვავილები ქარგავს, გწადია, რომ შენც იპოვო განძი? ის პოულობს, ვინც რაღაცას კარგავს'', არა წუწუნი და სამდურავი, არამედ მსუბუქი საყვედური საყვარელი არსებისადმი: ''წავა ცხოვრება, როგორც მირაჟი, კვლავ დაფიქრებად წუთი ვიკმარე, ისე მიყვარდი, როგორც არავის, და შენ არა და არ შემიყვარე''. იქვე სულის ამაფორიაქებელი სიტყვები, რომელსაც ღამის იდუმალი გუშაგი, მთვარე ამბობს პოეტის პირით:



''ამბობს, სულის სიღრმეში, სადაც მზე ვერ განათებს, სიყვარულით დაცლილი, გდია თეთრი ბარათი, შენ რომ გეთქვა, მიყვარხარ, ისე, როგორც ის გიყვარს, ამ ღამეში იმის თავს უმალ მოგიპარავდი''. უმძიმეს ტკივილად აღიბეჭდა მის ფაქიზ, პოეტურ სულში მეგობრის, დათო თევზაძის გარდაცვალება. ''ნეტავ რად მოხდა, უშნო სიკვდილმა რომ ადრიანად ჩამოგიარა'' პოეტის მიერ დასმულ ამ კითხვას ყველა ის ადამიანი წარმოთქვამს და გაიმეორებს, ვინც პირადად იცნობდა ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტს. ასეთები კი ბევრნი არიან და მასზე მხოლოდ დიდი გულისტკივილით ჰყვებიან. კახას პოეზიას სამშობლოს სიყვარულის ფერებიც ალამაზებს, ''დაბრუნდება მალე სოხუმი და რიწა''... და მაინც მისმა დაუდგრომელმა სულმა ამ წუთისოფელში ყოფნას იმქვეყნიურ ნათელში ბინადრობა არჩია, ამქვეყნად კი ლამაზი ლექსები დაგვიტოვა სულის სალბუნად, სულის საოხად... ძირს დაცვენილი ყვითელი ფოთლების იდუმალი ჩურჩულივით რომ ჩაგვესმის...

''მე ამ მიწაზე არ მაქვს ადგილი,
ვიცი აქ აღარ დამედგომება,
ვერაფერს შველის წამებას ჩემსას
ეს ოქროსფერი შემოდგომები...''

## რას იწვევს მზის სათვალის ხშირი და უადგილო ტარება

მზის სათვალეს ნებისმიერ სეზონზე იყენებენ. იგი ერთ-ერთი ყველაზე მოდური აქსესუარია. დიზაინერებიც კოლექციებში წარმოადგენენ სხვადასხვა ტიპის სათვალეებს.

მზის სათვალესთან ''მეგობრობა'' თქვენს მხედველობაზე ადრე თუ გვიან აუცილებლად აისახება. საქმე იმაშია, რომ ბნელი შუშა ზედმეტად ზღუდავს თვალისთვის სინათლის მიწოდებას. სინათლის დეფიციტის გამო თვალი იძაბება და იღლება. ეს მიზეზები თვალისჩინის გაუარესებას განაპირობებს.

მედალს ორი მხარე აქვსო _ სამაგიეროდ ხარისხიანი შუშა თვალს ულტრაიისფერი სხივებისაგან და შესაბამისად, დაზიანებისგან იცავს. დამტკიცებულია, რომ ულტრაიისფერ სხივებს თვალის კატარაქტას გამოწვევა შეუძლია. კატარაქტა თვალის ბროლის სრული ან ნაწილობრივი დაზიანებაა. ამ დროს ბროლი ფერს იცვლის, რძისფერი, მოთეთრო ან მონაცრისფრო ხდება. ამ დაავადების დროს პაციენტი მხედველობის დაქვეითებას უჩივის. მას ხშირად გართულებები მოსდევს და ადამიანი თვალის ჩინს კარგავს.

**აუცილებლად გაითვალისწინეთ!**

ჩაბნელებულ ადგილებში, მაგალითად კლუბში, მზის სათვალით შესვლა არ შეიძლება. ამ დროს თვალს ხელოვნურად უქმნით წინაღობას და ნორმალურ ფუნქციონირებაში ხელს უშლით. როცა ჯერი შუშის ფერზე მიდგება, ეცადეთ არ შეიძინოთ ლურჯი, აჯობებს იყიდოთ მონაცრისფრო.

## დავით ჭკადუას გახსენება



ის იმ ადამიანთა შორის იყო, კაცურკაცობითა და კეთილშობილებით რომ ცნობდნენ.

სამტრედიაში დაიბადა ბატონი დავით ჭკადუა, რკინიგზის მეცამეტე საშუალო სკოლის შემდეგ მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის აკადემიის სამშენებლო ფაკულტეტი დაამთავრა.

უმაღლესი განათლების მქონე, კვალიფიციური ინჟინერი სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციებში მუშაობდა. იყო საჯავახოს სილის კარიერის დირექტორი, ტრესტ ''სპეცმშენის'' მექანიზაციის სამმართველოს უფროსი, რკინიგზის დასახლების მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე და სხვა.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ერუდირებული, კეთილშობილური თვისებებით შემკული, სხვათა ჭირისა და ლხინის გამზიარებელი კაცი 2001 წელს აღესრულა. ბევრს, ბევრს დასწყვიტა გული მისმა გარდაცვალებამ.

ამ დღეებში 80 წლისა გახდებოდა ბატონი დავით ჭკადუა.

ნათელში იყოს!

**მეგობრები**



## შოთა გელაზონია

### გახსენება

ღირსეული კვალი დატოვეს რაიონის ისტორიაში სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილმა ადამიანებმა, რომელთა შორის ბრძანდებოდა ბატონი შოთა გელაზონია, კაცი ფუტკარივით მშრომელი, დაუზარელი.

სამტრედია ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იყო ქვეყნის მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მხრივ, ამ საქმეში კი განუსაზღვრელი იყო ბატონი შოთას წვლილი.

საზოგადოებრივი დავალებების გარეშე არასოდეს ყოფილა, ხშირად ირჩევდნენ ორდენოსან მეურნეს რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში.

გავა დრო და მშობლიური რაიონი სევდითა და პატივით გაიხსენებს სამტრედიის საპატიო მოქალაქეს, კეთილშობილ კაცს, რომლის ხსოვნას დავიწყების ბინდი არასოდეს მიეკარება.

**საზოგადოება ''სამტრედიელი''**

# დედის დღეს გილოცავთ!

## მდელო ისევ მოუჩითავთ იებს

*მას შემდეგ, რაც ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, მიხეილ გედევანიშვილმა და მისმა მეუღლემ თბილისში, საქართველოს სინამდვილეში პირველი ბაგა-ბაღი დააარსეს, საუკუნე გავიდა.*

*ამ ხნის მანძილზე, საბავშვო ბაგა-ბაღები, გარდა იმისა, რომ ნორჩი მოქალაქეების სრულფასოვან ადამიანებად ჩამოყალიბებას უწყობენ ხელს, დასაქმებული, თუ დროებით დაუსაქმებელი მშობლებისათვის შვებასაც წარმოადგენდნენ.*

მე არ წავალ ბაღში, არ მინდა ბაღი! ბევრჯერ ბევრისგან გაგვიგონია ეს სიტყვები, რაღა თქმა უნდა, პატარა, ცეროდენა გოგო-ბიჭებისაგან. თუმცა ისეთი შემთხვევებიც მრავლადაა, პაწია გულებით მოუთმენლად რომ ელიან ისინი ახალი დღის გათენებას, რათა სიხარულით მიეგებონ მათზე მზრუნველ ადამიანებს, გაერთონ თანატოლებთან, თავი კომფორტულად იგრძნონ ლამაზ გარემოში.

სასწავლო-აღმზრდელობითი, თუ სხვა ნებისმიერი პროფილის ორგანიზაციის ავ-კარგი, წარმატება-წარუმატებლობა მის ხელმძღვანელზე ბევრადაა დამოკიდებული.



სამტრედიაში, არა მარტო აქ, კარგად იციან, რომ მეოთხე ბაგა-ბაღი სკოლამდელი აღზრდის იმ დაწესებულებათა შორისაა, სადაც ყველა ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, ბაღის წლები პატარებისთვის მრავალფეროვანი, მხიარული, რაც მთავარია, დასამახსოვრებელი რომ იყოს.

ბაგა-ბაღის მმართველზე, ქალბატონ ნანა დუნდუაზე, მის აქტიურობაზე, პატარების, მშობლების, საზოგადოებისადმი მის მიერ შეთავაზებულ სიახლეებზე, მარადის ახლის ძიებასა და მოუღლელობაზე, არა ერთხელ დაწერილა, მრავალი რეპორტაჟი უძღვნიათ ამ მუდამ მოფუსფუსე ქალბატონის მოღვაწეობაზე.

ადვილი როდია სამტრედიის მუნიციპალიტეტის სინამდვილეში ყველაზე მრავალრიცხოვანი ბაგა-ბაღის მმართველობა.

აღსაზრდელთა რაოდენობა 500 აღწევს, 50 თანამშრომელია აქ დასაქმებული.

ბაგა-ბაღში ვიმყოფებით, იდეალური სისუფთავე, სიკოხტავეა ირგვლივ. ზღაპრის გმირებით აჭრელებული ოთახებიდან ნორჩების წკრიალა ხმა ისმის, ვინ ლექსს ჰყვება, ვინ მღერის, ვინ კიდევ საყვარელ თოჯინას უბრაზდება.

მადლიერი მშობლებიც ბევრნი ვნახეთ ამ დღეს ბაღში, მაგრამ კომენტარი ამჯერად მშობლის ამპლუაში მყოფ ჩვენ კოლეგას ნათია ნაცვლიშვილს ვთხოვეთ, მისი უმცროსი ვაჟიშვილი ირაკლი კიკვაძე სწორედ ამ ბაღის აღსაზრდელია:

_ მე-4 საბავშვო ბაღი მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი საუკეთესოა, მისი მმართველი ნანა დუნდუა არაერთი შესანიშნავი იდეის ავტორია. მახსენდება, რაოდენ დიდი მუხტი შემოიტანა ნანა დუნდუას პატარა აღსაზრდელების სამხედრო ფორმით ქალაქის ცენტრში გამოჩენამ 26 მაისს. პატარები ამ ბაღში შესანიშნავი აღმზრდელების წყალობით სწავლობენ ყველაფერ საუკეთესოს, როგორც მშობელი დიდ მადლობას ვუხდი, როგორც ქალბატონ ნანა დუნდუას, ისე ყველა პედაგოგს იმისთვის, რომ პატარებსა და საერთოდ, ამ ბაღის ავტორიტეტს ასე ძალიან უფრთხილდებიან. _ გვითხრა ქალბატონმა ნათიამ.

სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების მეთოდისტ ქალბატონ იზო ხუჭუას თქმით კი, ქალბატონი ნანა მარად მოუღლელი, ფუტკარივით დაუზარელი, სიცოცხლით, ენერგიით სავსე ქალბატონია, რომელსაც ბევრმა უნდა მიბაძოს.

_ პატარების გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია, თუ მე-4 ბაგა-ბაღის მიმართ ბევრი თბილი სიტყვა გვესმის, ეს არა მარტო ჩემი, ჩემი თანამშრომლების, მშობლების, მუნიციპალიტეტის თავკაცებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელთა თანადგომის შედეგიაო. _ გვითხრა ქალბატონმა ნანამ.

მკაცრი ზამთარი ეს-ესაა გავინაპირეთ.

მიწა აფუვდა.

სითბო მოეძალა ჰაერს.

ნაირფერად მოიჩითა ნაზამთრალი მდელოები.

მისი უდიდებულესობა გაზაფხული შემობრძანდა, სწორედ გაზაფხულის, მარტის სამში აღნიშნავენ ჩვენში დედის დღეს.

საოცრად სიმბოლურია _ დედა ხომ საწყისია სიცოცხლისა, სიყვარულისა...

პატივისცემით ვულოცავთ დედის დღეს, გაზაფხულის შემობრძანებას ქალბატონ ნანა დუნდუას, ბაგა-ბაღში დასაქმებულ ქალბატონებს და წარმატებებს ვუსურვებთ კეთილშობილურ მოღვაწეობაში.

**ლევან გაბეჩავა**

# ოჰ, ეს მარტი...

მარტი _ ქართულად, არეგ _ სომხურად, მუჰარრემ _ სპარსულად, ნისან _ ებრაულად, ასურულად, ფანემოთ _ ქალდეურად, ზინტიქოს _ ბერძნულად და მაკედონურად...

წლის მესამე თვეა მარტი.

_ ამა თვეში ქვეყანა იწყობს გამოღვიძებას და ზაფრა კაცის გვამში იწყობს დაკლებასა, კარგია გაბანვა ბალახის წყლებში, საჭმელნი ამა თვისა უნდა იყვნენ სუფთა ხორცნი, საამური სასმელნი, ტკბილი საჭმელნი და თოხლოთ შემწვარი კვერცხი, მაგრამ რაკი ორმოცის მარხვაა, ე. ი. დიდი მარხვა ყოველთვის ამ თვეში მოდის, ჩვენც გვმართებს დამორჩილება ეკლესიის კანონისა...




გვმოძღვრავს **ეფრემ ვერდი**

მარტი პატარძალივითაა, დღეში სამჯერ მოირთვება და სამჯერ მოიღუშება _ ამბობს ხალხური ანდაზა.

მართლაც ცვალებადია გაზაფხულის პირველი თვე: ხან წვიმს, ხან თოვს, ხან დარია, ხან ქარია.

მარტი რომაელთა წლის პირველი თვე იყო, ხოლო იულიუს კეისარმა თავის კალენდარში მესამე თვედ გადაიტანა.

მარტში ძველი დროიდან სხვადასხვა ხალხში მრავალი ღონისძიება ეწყობოდა, ძველ რომში ტარდებოდა ქალთა დღესასწაული _ მატრონალია, ამ დღეს ქალები მსხვერპლს სწირავდნენ იუნონას (ბერძნული ჰერა) და ქმრებისაგან, შვილებისაგან, სატრფოთაგან საჩუქრებსა და ყვავილებს იღებდნენ.

1913 წელს კი, ლონდონში, მძიმე აუტანელი სამუშაო პირობების გაპროტესტების მიზნით, ფეიქარი ქალები გაიფიცნენ და მას შემდეგ 8 მარტს, მსოფლიო ქალთა საერთაშორისო დღეს აღნიშნავს.

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ნეტარხსენებული ზვიად გამსახურდიას ძალისხმევით საქართველოში 3 მარტი დედის დღედ გამოცხადდა.

საოცრად სიმბოლურია, დედა ხომ სიცოცხლის საწყისია...

ასე თუ ისე, მოვიდა მარტი და უდიდესი სიყვარულით, პატივისცემით ვულოცავთ ჩვენს დედებს, დებს, მეუღლეებს, სატრფოებს დედის დღეს, ქალთა დღესასწაულებს, ვაჩუქოთ მათ ლამაზი წუთები, გულის სითბო ვაგრძნობინოთ ჩვენზე მზრუნველ ადამიანებს. მარტმა კი, მარტმა იმარტოს ჭირვეულობითა და მრავალფეროვნებით.

**ლევან გაბეჩავა**



*ლეონარდო დიკაპრიო:*
*"ოსკარს" ვნატრობდი დღედაღამ,*
*ავახმიანე მსოფლიო,*
*ძლივს ჩავეხუტე "ოქროს კაცს",*
*სიხარულისგან ოფლს ვღვრიო.*

## ვულოცავთ!

**ბატონ კახი კალაძეს!**

პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს, წარმატებებს გისურვებთ პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში. უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

**პატივისცემით "სამტრედიის მაცნე"**



პატივისცემითა და სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს ვეტერანთა რაიონული კავშირის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ბატონ **ალეკო ბანძავას.**

ხანგრძლივ სიცოცხლესა და ბედნიერებას ვუსურვებთ საყვარელ ოჯახთან ერთად.

**ვეტერანთა რაიონული კავშირი**

## დედას!

ჩემო საწყალო, საბრალო დედა,
როცა მე შენს სურათს დავხედავ,
როცა ვდარდობ და გიკოცნი სახეს,
როცა ამ გრძნობას ვერ ვარქმევ სახელს,
აქაც მხოლოდ შენ შემეშველები,
დედა-შვილობის სითბოთი მავსებ.
უდარებელი შენი მშვენებით
და სიამაყით გული მაქვს სავსე.
როგორ შრომობდი, როგორ წვალობდი,
რომ ბიჭი კაცად გამოგეზარდე,
მინდა გემსგავსო, ჩემო ძვირფასო,
სიკეთის ქმნაში მინდა შენ გგავდე,
რამდენი ღამე გაგიტეხია,
ზამთრის ცივ სუსხში ჩამქრალ ბუხართან,
გმადლობ, შენ დედა, უძილობისთვის,
რომ მითენებდი ღამეს აკვანთან,
ომში წასული მეუღლის ოჯახს,
ვით მეციხოვნე ედექ დამცველად,
ყოველ შენს სიტყვას, ყოველ შენს ნაბიჯს,
სინდის-ნამუსი ერქვა სახელად,
შეუბღალავი შენი მანდილით
შენს მამულს, ოჯახს, აენთე სანთლად,
ღვთისმშობლისადმი შენი ვედრებით,
მტერმა სამშობლო ვერ გაგვითელა,
უტეხი სული ისევ გადარჩა
და ქართველები დავრჩით ქართველად,
ის უდარდელი ბავშვობის დღენი,
შენ რომ მაჩუქე, ძვირფასო დედა,
ნეტავი, ერთხელ დაბრუნდებოდე
და შენს კალთაში მატირა, ნეტავ!
შენგან ნასწავლი ნანინათი,
დე... იცოდე, არც მე დავიწუნები,
სულ შენ გეკუთვნის ყველა სიმღერა,
დაფნის რტოებიც და ყვავილწნულებიც.

**ალექსანდრე კრავეიშვილი**
**მომღერალი, აკადემიკოსი**

**რედაქციის მისამართი:**
**სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6**
**ტელ: 790 391839**

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაზუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა